ახალი განათლება

06-12.02.2020

№3 (877) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

2 | ანა ფირცხალაიშვილი
რეფორმის მთავარი არსი – წინსვლა განათლების ხარისხის განვითარებისთვის

ინტერვიუ თამარ მახარაშვილთან

6 | ლალი ჯელაძე
სამინისტრომ საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველებისთვის კონკურსი დაიწყო

10 | ნელი დუდუჭრიანი
Իմ ազատ ժամանակը

მეხუთე კლასში ჩატარებული გაკვეთილის გეგმა

3 | ლალი ჯელაძე
გადავადებული ავტორიზაცია და ახალი სტანდარტი, რომელიც დიფერენცირებულ მიდგომებს ითვალისწინებს

„ახალი სკოლის მოდელი“ – შეფასებები

თამარ მოსიაშვილი: *სამწუხაროდ, ვერა და ვერ გადავედით განვითარების ახალ ეტაპზე, როდესაც სახელმწიფო მიიღებდა გადაწყვეტილებას, რომ სისტემის დეცენტრალიზაციას შეუწყოს ხელი.*

ნინო ჯაჯანიძე: *ჩვენს რეალობაში პირველად, ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული გრძელვადიან მიზნებთან მისასვლელ გზას, ანუ სკოლის ჯერიჯელემს, სასკოლო თემი თავად ქმნის, უფრო ზუსტად, ავითარებს.*

რობერტ ხოჯანაშვილი: *ნახონ ჯერიჯელად განწყობილმა ადამიანებმა, როგორ უხარიათ ბავშვებს „მატრიცული" გაკვეთილები, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ მოსწავლეები, სტატიკური გაკვეთილების ნაცვლად, დინამიკური პროცესის შემოქმედია მოსწავლე, მასწავლებელი – მხოლოდ მოდერატორი.*

ნინო მახარაშვილი-ბუხრიკიძე: *„ახალი სკოლის მოდელი", ერთი მხრივ, პედაგოგთა პროფესიულ ზრდას უწყობს ხელს, მეორე მხრივ კი – სკოლის ერთიან გუნდად ჩამოყალიბებას.*

მზია სალაძე: *პროექტის სიკეთეს ისიც მონმობს, რომ „ახალი სკოლის მოდელი" მოსწონს მთავარ ობიექტს, ვისთვისაც ყველაფერი კეთდება – მოსწავლეს.*

ხარისხის განვითარება

რეფორმის მთავარი არსი – წინსვლა განათლების ხარისხის განვითარებისთვის

ანა ფირცხალაიშვილი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს – თამარ მახარაშვილი. ახლა იგი ამ სტატუსითაა, თორემ ეგრაული ენის სპეციალისტი წლებია განათლების სისტემაში მუშაობს და კარგად იცნობს მისი ყველა რგოლის სპეციფიკას, მათ შორის ხარისხის განვითარების მიმართულებით, სადაც 2014 წლიდან სხვადასხვა პოზიციას იკავებდა, ხოლო ბოლო 4 წელი ცენტრის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე იმუშავა.

ჩვენ არაერთი პუბლიკაცია მივუძღვენით ცენტრში მიმდინარე რეფორმას, ამიტომ ძალგატონ თამარს უწყების სამომავლო გეგმებზე საუბარი ვთხოვეთ, თუმცა მან საჭიროდ ჩათვალა და ლოგიკურიც არის, ის წარმატებები (და გამოწვევებიც) შეგვახსენოს, რასაც ცენტრმა, მართალია, მისი მონაწილეობით, მაგრამ სხვა ხელმძღვანელების პიროობებში მიაღწია.

წარმატებული 2019

(ასე შეაფასა თამარ მახარაშვილმა შარშანდელი წელი)

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ უმაღლესი განათლების მიმართულებით, მართლაც მნიშვნელოვანი წელი იყო – განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი გახდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი; მივიღეთ კვალიფიკაციების ახალი ეროვნული ჩარჩო, რომელიც სრულ თანხვედრაშია შესაბამის ევროპულ დოკუმენტთან; გავხდით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი. კიდევ ერთხელ შევახსენებ თქვენი გაზეთის მკითხველს, რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი მოქალაქეებისთვის ENQA-ს წევრობას – ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, როგორც სააგენტო, შეყვანილია ევროპის ასოცირებული სააგენტოების რეესტრში (EQAR), რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემული დიპლომების მიმართ და სისტემის მიმართ სანდოობა გაიზრდება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში გაცემული კვალიფიკაციების აღიარების პროცესის გამარტივებას. დიახ, ENQA-ს წევრობა ხარისხის განვითარების ცენტრმა მიიღო, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს გარკვევით ითქვას, ეს მხოლოდ მისი კონტრიბუცია არ არის. რომ არა ნინარე სამუშაოები, რომლებიც ერთობლივად ჩაატარა მთელმა სისტემამ, ვგულისხმობ ექსპერტთა კორპუსს, ავტორიზაციის საბჭოებს, განათლების სამინისტროსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ეს შედეგი ვერ დადგებოდა. ENQA-მ სწორედ ის პროცედურები და სტანდარტები შეამოწმა და მოიწონა, რომლითაც თითოეულმა ამ რგოლმა იმუშავა. გადაწყვეტილებაც წევრობის შესახებ ამის შემდეგ მიიღო, თუმცა დაგვიწესა მონიტორინგიც. ერთია, აკმაყოფილებდე წევრობის მოთხოვნებს გარკვეულ ეტაპზე, მაგრამ მეორეა და მთავარი, როგორ ვითარდები, ასრულებ თუ არა რეკომენდაციებს, რომელიც საერთაშორისო ასოციაციამ მოგცა თავის დროზე. ამ მიზნით, მომავალ წელს, გვესტუმრებიან ასოციაციის წარმომადგენლები, რათა ნახონ, როგორ ვითარდება ცენტრი. ბუნებრივია, ჩვენ უკვე ვემზადებით ამისთვის.

მეტი ბიზნესი პროფესიულ განათლებაში

როცა მიღწევებზე ვსაუბრობ, პირველ რიგში, პროფესიული განათლების რეფორმა უნდა აღინიშნოს, რომელიც 2013 წლიდან დაიწყო და ძალიან ხელშესახები შედეგებიც გვაქვს. ჯერ კიდევ არსებული გამოწვევების მიუხედავად, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ წარმატებული რეფორმაა სისტემაში, რაც თავიდანვე მისი სწორი მიმართულებით სვლამ განაპირობა. ვგულისხმობ დამსაქმებელთა დარწმუნებას იმაში, რომ სწორედ მათი ბიზნესის განვითარებისთვის არის აუცილებელი ამ სისტემასთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომ სწორედ ისინი უნდა იყვნენ პროფესიული კადრების დამკვეთები (მათი საჭიროებებიდან გამომდინარე). ეს გზა გაიარა პროფესიულმა განათლებამ, ბიზნესი აქტიურად ჩაერთო მის საქმიანობაში, მხოლოდ პროფესიულ სტუდენტებს კი არ იღებს პრაქტიკის გასავლელად, არამედ საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაშია ჩართული, თავად გვკარნახობს რა ვასწავლოთ სტუდენტს დასაქმების მაღალი გარანტიით. აქამდე, ძირითადად, ტრენინგ-ცენტრებს მიმართავდნენ საჭირო კვალიფიკაციის ადამიანების მოსამზადებლად, ახლა კი თავად, საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, მონაწილეობენ ამ საქმეში. ამ მიმართულებით ჩვენი მუშაობა კიდევ უფრო გაფართოვდება სავაჭრო პალატასთან მემორანდუმის გაფორმების შემდეგ. თქვენ იცით, როგორი ინტენსივობით ინერგება დუალური პროგრამები და 2020 წლისთვისაც ეს ჩვენი ერთ-ერთი გამოწვევაა პროფესიულ განათლებაში. სწორედ ამ კუთხით დაგვეხმარება სავაჭრო პალატა, რომელიც სხვადასხვა ბიზნესს აერთიანებს და შეუძლია განსაზღვროს, დუალური პროგრამების როგორი საჭიროებაა ამა თუ იმ სექტორის სხვადასხვა რგოლში.

პროფესიულ განათლებაზე ამ მოკლე ექსკურსს დავასრულებ იმით, რომ მალე შევთავაზებთ ჩვენს ბენეფიციარებს კვალიფიკაციათა ახალ ჩარჩო დოკუმენტს, რომელიც შედგენილია შრომის ბაზრის და ბიზნესის მოთხოვნების გათვალისწინებით და შევეცდებით კიდევ უფრო მეტი ბიზნესმენი დავარწმუნოთ იმაში, რომ პროფესიული განათლება, უპირველეს ყოვლისა, მათი ინტერესის სფეროა და მხოლოდ მათი მეტი ჩართულობითაა შესაძლებელი ბიზნესისა და დარგის განვითარება ერთდროულად.

თვითშეფასება – თანამშრომლობისა და ხარისხის უზრუნველყოფის აუცილებელი პირობა

მოგეხსენებათ, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადა 6 წელია, მაგრამ ჩვენ შუალედური შემოწმებებიც გვაქვს, გეგმიური მონიტორინგების სახით, ამისათვის არსებობს ხარისხის განვითარების ცენტრი. მაგრამ ჩვენ გვინდა შევქმნათ ისეთი სისტემა, როცა სასწავლო დაწესებულებას გააზრებული აქვს რა პასუხისმგებლობა საკუთარი სტუდენტების წინაშე, კი არ მალავს რაიმე პრობლემას ან კი არ ელოდება შემმოწმებელს, არამედ თავად ახდენს საკუთარი ხარვეზების იდენტიფიცირებას და ხარისხის ცენტრთან თანამშრომლობით ცდილობს მის გამოსწორებას. ამას ჩვენ თვითშეფასებას ვეძახით. მისი დანერგვა, განათლების სამივე საფეხურზე, იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა 2020 წლისათვის. პროცედურა ასეთია: ავტორიზებული სასწავლო დაწესებულება, 3 წლის თავზე, წარმოადგენს თვითშეფასებას, სადაც მითითებული იქნება ყველა ტიპის სუსტი მხარე თანდართული გეგმით, როგორ აპირებს მათ გამოსწორებას. ჩვენი პასუხი კი მხოლოდ მხარდაჭერა იქნება იმის მიხედვით, რა საჭიროებები აქვს დაწესებულებას, შესაძლოა ეს იყოს ტრენინგები, ვორქშოპები. ჩვენ ვართ გახსნილი თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის. დაწესებულებას აქვს არჩევანი ან თავად, დაუფარავად და ობიექტურად აფასებს საკუთარ თავს, ან მალავს პრობლემას, რაც საბოლოო ჯამში მაინც იჩენს თავს. გვინდა დავამკვიდროთ ურთიერთობის ისეთი კულტურა, როცა ერთად ვსვამთ დიაგნოზს და ერთად ვცდილობთ გაუმჯობესებას, რადგან საქმე ახალგაზრდობის ხარისხიან განათლებას ეხება, რაც ერთი რომელიმე უწყების კი არა, მთელი განათლების სისტემის საზრუნავია.

ავტორიზაციის დროს შეფასების სისტემის მოძნილობა

დასაწყისში აღვნიშნე, რომ ENQA-ს წევრობა ჩვენი პროცედურების ევროსტანდარტებთან შესაბამისობამ განაპირობა. მაგრამ, ეს ხომ ყოველთვის ასე არ იყო. ადრე შეფასების გაცილებით ხისტი სისტემა გვქონდა – ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას განიხილავდა ავტორიზაციის საბჭო და სასწავლებელს ან ანიჭებდა, ან არ ანიჭებდა ავტორიზაციას. ბუნებრივია, ადრესატს შესაძლოა ჰქონოდა უსამართლობის განცდა, იმიტომ რომ, განსაკუთრებული გამონაკლისის გარდა, აუცილებლად იქნებოდა ისეთი ხარვეზი, რომლის გამოსწორებისთვის დროის მიცემით შესაძლოა უარყოფითი შედეგი არ დამდგარიყო. ახლანდელი ოთხშკალიანი შეფასების სისტემა სწორედ ამ შესაძლებლობას სთავაზობს უნივერსიტეტებს, ის გაცილებით მოქნილია და მხარდაჭერაზე ორიენტირებული. ექსპერტთა დასკვნაში გარკვევით იწერება, რომელ სტანდარტს ან ქვესტანდარტს აკმაყოფილებს, მეტწილ შესაბამისობაშია, ნაწილობრივ, თუ მთლიანად შეუსაბამოა. სასწავლო დაწესებულებას 10 დღე აქვს დასკვნის გასაცნობად და აზრის გამოსახატავად. სწორედ ამის შემდეგ ეგზავნება შემოწმების სრული, დაწესებულების მიერ გაცნობილი დოკუმენტი ავტორიზაციის საბჭოს, რომელიც სასწავლო დაწესებულების წარმომადგენლის/წარმომადგენლების თანდასწრებით განიხილავს დოკუმენტს (1 დასკვნის განხილვა 3-4 საათის განმავლობაში). საბოლოო შედეგი, ოთხშკალიანი განხილვის მეთოდით შეიძლება ასეთი დადგეს: დაწესებულებამ მიიღოს ავტორიზაცია ანგარიშის წარმოდგენით, ან მონიტორინგით, მიიღოს სრული უპირობო ავტორიზაცია, ან უარი ეთქვას ავტორიზაციაზე. მოქნილი შეფასების სისტემა იძლევა შესაძლებლობას ხარვეზის გამოსწორებისა და განვითარებისათვის, მაგრამ თუ შედეგი მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა (შეიძლება, ასეც მოხდეს), მას აქვს მექანიზმი, აპელაციის გზით, დაამტკიცოს საწინააღმდეგო, ან გაასაჩივროს გადაწყვეტილება სასამართლოში.

აქვე დავამატებ, როცა საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზაციის გაუქმების შესახებ, ის ითვალისწინებს სტუდენტების ინტერესს და გადაწყვეტილება ამოქმედების დროდ მიუთითებს ვადას ისე, რომ სტუდენტებმა სემესტრის დასრულება და კრედიტების დაგროვება შეძლონ. ამავე დროს, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, ამ შემთხვევაში, კონკრეტულად ამ დაწესებულების სტუდენტებისთვის გამოაცხადოს რიგგარეშე მობილობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტების ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

მიმაჩნია, რომ აკრედიტაციისა და ავტორიზაციის შეფასების ახალი სისტემის ამუშავება იყო რეფორმის მთავარი არსი, რაც უსათუოდ შეუწყობს ხელს სასწავლო დაწესებულებებში ხარისხის განვითარებას.

ხარისხის ცენტრის სახე დაწესებულებაში

ხარისხის ცენტრის სახე არიან ექსპერტები, ისინი ჩვენი ელჩები არიან როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ასევე ავტორიზაციის საბჭოსთვის. ადამიანები, რომლებიც შეირჩევიან არა მარტო პროფესიული კომპეტენციების, არამედ სხვა ბევრი უნარის მიხედვით. სწორედ მათი პროფესიონალიზმი განსაზღვრავს რამდენად ხარისხიანად და ობიექტურად შეასრულებს ცენტრი საკუთარ მისიას. სწორედ იმის გათვალისწინებით, რომ ექსპერტთა კორპუსი ცენტრის მუშაობის ძირითადი რგოლია, გადავწყვიტეთ, სამივე საფეხურზე, უზრუნველვყოთ ექსპერტთა ატესტაცია. წელს ეს ჩვენი ცენტრისთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა.

სისტემაში 1700 აკრედიტებული პროგრამა გვაქვს, რაც რამდენიმე სფეროსა და სხვადასხვა დარგს მოიცავს. თითოეული ექსპერტის შერჩევა სწორედ ამ მრავალფეროვნების გათვალისწინებით ხდება, 2021 წლიდან კლასტერულ აკრედიტაციაზე გადასვლას ვგეგმავთ, წელს 450-დან 500-მდე პროგრამამ უნდა გაიაროს აკრედიტაცია. ამ მოცულობის სამუშაოს ხარისხიანად შესრულებას კი სათანადო კვალიფიკაციის ექსპერტები სჭირდება.

აქვე მინდა ორიოდ სიტყვით ავტორიზაციის საბჭოს მნიშვნელობასაც შევეხო და აღვნიშნო, რომ საბჭოს პრემიერ-მინისტრი ამტკიცებს, განათლების მინისტრის წარდგინებით. წლევანდელი სიახლე ისაა, რომ მინისტრის გადაწყვეტილებით, საბჭოს წევრთა ნომინირება და დაკომპლექტება კომისიური წესით მოხდა, აპლიკანტებთან გასაუბრება ფსიქოლოგის ჩართულობით მიმდინარეობდა. ამ მექანიზმით სუბიექტივიზმი მთლიანად გამოირიცხა. ასე დაკომპლექტდა ავტორიზაციის საბჭოები სამივე საფეხურისთვის.

საჯარო სკოლები და ხარისხის განვითარების ცენტრი

აქაც აუცილებელი კომპონენტი იქნება თვითშეფასების სისტემის ამუშავება. შეფერადების გარეშე შეგვიძლია ვთქვათ, ახლა ვიწყებთ საჯარო სკოლებიდან რეალური ინფორმაციის ამოღებას თუ რა ტიპის პრობლემები გვაქვს. შესაბამისი კონცეფცია მუშავდება და სამინისტროსთან ერთად ხარისხის ცენტრიც აქტიურადაა ჩართული. თანმიმდევრულად და სწორი მეთოდოლოგიით ვაპირებთ მუშაობას, ჩვენი მიდგომაა მუდმივად ვიზრუნოთ საჯარო სკოლების განვითარებაზე, რომელიც ხარისხის ამაღლების აუცილებელი კომპონენტია. დიდი მოცულობის სამუშაო გვექნება შესასრულებელი ამ მიმართულებით სამინისტროსთან ერთად.

2020 წლის ძირითადი მესიჯები

✔ პირველ რიგში, ეს იქნება სანდოობასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული თანამშრომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;

✔ 2021 წლიდან კლასტერულ აკრედიტაციაზე გადასვლა იგეგმება და შესაბამისად 2020 წელს მოგვიწევს ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა. კლასტერული აკრედიტაცია ნიშნავს კონკრეტულ წელს კონკრეტული მიმართულების აკრედიტაციას, რაც მნიშვნელოვანია დაწესებულებებისთვის, რათა მათ საკუთარი რესურსის გაძლიერება შეძლონ კონკრეტული მიმართულებით, ხარისხის ცენტრმაც კონკრეტული მიმართულების ექსპერტების პროფესიული განვითარება განახორციელოს და ასევე აკრედიტაციის საბჭოს დაკომპლექტების დროსაც მოხდეს კლასტერის გათვალისწინება;

✔ ეტაპობრივად მოხდება კვალიფიკაციების ჩარჩოსთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა. მაგალითად, მიმდინარე წელს საბუნებისმეტყველო და მედიცინის დარგი მოვა შესაბამისობაში კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და მთელი რესურსი ამ მიმართულებით ამოქმედდება;

✔ სადოქტორო და კვლევითი კომპონენტი დიდი გამოწვევაა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისთვის. ამ მიმართულებით განსაკუთრებით გაძლიერდება ცენტრის ძალისხმევა;

✔ განათლების სამივე საფეხურზე თვითშეფასების სისტემის დანერგვა.

ეს ის ძირითადი გამოწვევებია, რომელთა დაძლევამაც უნდა უზრუნველყოს წინსვლა განათლების ხარისხის განვითარების მიმართულებით.

ზოგადი განათლება

გადავადებული ავტორიზაცია და ახალი სტანდარტი, რომელიც დიფერენცირებულ მიდგომებს ითვალისწინებს

ლალი ჯელაძე

„ზოგადი განათლების კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული საქართველოს კანონპროექტის თანახმად, სკოლების ავტორიზაციის პროცესი ახალი სტანდარტის მიხედვით, 2020-2021 სასწავლო წლის ნაცვლად, 2026-2027 წლამდე დასრულდება. რა გახდა ავტორიზაციის მესამედ გადავადების მიზეზი და რა სიახლეები იგეგმება ამ მიმართულებით – ამ თემაზე განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, **ეკა დგებუაძემ** საჯარო სკოლის დირექტორებთან შეხვედრა გამართა.

სამინისტროში განმარტავენ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება განპირობებულია ზოგადი განათლების სისტემის მიმდინარე რეფორმით, რაც სკოლებში მოსწავლეზე ორიენტირებული, უსაფრთხო, ინფრასტრუქტურულად გამართული გარემოს შექმნას გულისხმობს. ამ მიზნის განხორციელებას ემსახურება პროექტი „ახალი სკოლის მოდელი“, რომელიც მოიაზრებს როგორც სკოლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, ასევე, სწავლა-სწავლების პროცესში ახალი, თანამედროვე მეთოდების დანერგვას. ამ ეტაპზე „ახალი სკოლის მოდელი“ 165 საჯარო სკოლაში ხორციელდება. 2020-2021 წლიდან პროექტი, საქართველოს მასშტაბით, ყველა სკოლას შეეხება და ზოგადი განათლების რეფორმის სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2025-2026 სასწავლო წლისთვის, ყველა სკოლის ინფრასტრუქტურული საჭიროებები დაკმაყოფილდება, ასევე სასწავლო პროცესში დაიგეგმება სწავლა-სწავლების ახალი მიდგომებიც. როგორც მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, ამ მოცემულობის გათვალისწინებით მიზანშეწონილია სკოლების ავტორიზაციის ვადების გადაწევა. *„იმის გამო, რომ მოსწავლეებისთვის გვინდა უფრო მეტად ხარისხიანი ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, ჩვენი მიზანია, ისეთი სტანდარტი შევიმუშაოთ, რომელიც საერთაშორისო მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. ამისთვის კი გვჭირდება გარკვეული პერიოდი სკოლებთან მუშაობისთვის, მათი განვითარებისთვის, როგორც ინფრასტრუქტურის მიმართულებით, ისე ადამიანური და მატერიალური რესურსის კუთხით. ინიცირების საბოლოო მიზანი კი მაღალი სტანდარტის საჯარო სკოლებია. თავის მხრივ, სამინისტრო სკოლებს ავტორიზაციისთვის ყველა რესურსით გააძლიერებს“* – განაცხადა ეკა დგებუაძემ.

რა აქცენტები კეთდება ახალ სტანდარტზე მუშაობისას და რა იქნება ის ძირითადი მოთხოვნები, რასაც სტანდარტი სკოლების წინაშე დააყენებს – ამის შესახებ პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **კახა ერაძე** ვრცელ კომენტარს აკეთებს და ამბობს, რომ სტანდარტი, საბოლოო ჯამში, კარგ შედეგებს მოიტანს: *„ახალ სტანდარტზე მუშაობა გასული წლიდან ძალიან ინტენსიურად მიმდინარეობს, ევროკავშირის სპეციალური პროექტის ფარგლებში, სადაც გერმანელი და ესტონელი ექსპერტებიც არიან ჩართულები. ისინი პერიოდულად ჩამოდიან და მონაწილეობენ სტანდარტის ფორმირებისა და დახვეწის პროცესში. მათი შეფასებები, ზოგადად, ძალიან პოზიტიურია, თუმცა, ჯერჯერობით, სტანდარტები არ არის ისეთ კონდიციაში, რომ გავა ზიაროთ ან ფართო დისკუსიის საგნად ვაქციოთ. როგორც კი იქნება, აუცილებლად ყველა დაინტერესებულ მხარეს ჩავრთავთ. ჩვენი მიდგომაა, რომ, სტანდარტების დამტკიცებამდე, ქვეყანაში არ უნდა დარჩეს ადამიანი, ვისაც სურდა აზრის გამოთქმა და ვერ გამოთქვა, ეს იქნება ძალიან ღია და გამჭვირვალე პროცესი. კონკრეტულ დეტალებზე ჯერ ვერ ვისაუბრებ, თუმცა, წინასწარ ვიცით, რომ სტანდარტები საუკეთესო ევროპულ გამოცდილებას (გერმანული და ესტონური) დაეფუძნება და მეტ აქცენტს გააკეთებს არა ფიზიკურ გარემოზე (ფიზიკურ გარემოზე ახლანდელი სტანდარტიც აკეთებს აქცენტებს), არამედ თვითონ სასწავლო გარემოზე, კურიკულუმის შინაარსზე, მოსწავლის სერვისებზე, მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლებაზე – უფრო შინაარსობრივ საკითხებზე, ვიდრე შენობის ან მერხის არსებობა-არარსებობის საკითხებზე. საკმაოდ კონცეპტუალურ ხედვებზე ვმუშობთ, რომლებიც მნიშვნელოვნად შეცვლის არსებული სტანდარტის სტრუქტურას, რადგან გვინდა, სტანდარტები, ბევრად ორიენტირებული გახდეს საბაზო, საშუალო და ზოგადი განათლების პროგრამებზე, მის შინაარსზე. ბუნებრივიცაა, რადგან ეროვნული სასწავლო გეგმები ბევრად უფრო ლიბერალური ხდება, მეტი თავისუფლების ხარისხს აძლევს სკოლას – სკოლამ უნდა გადაწყვიტოს, რა გზას აირჩევს. ამიტომაც ის ექსპერტული გარე შეფასების მნიშვნელოვანი ობიექტი გახდება.“*

ითვალისწინებს თუ არა ახალი სტანდარტი დიფერენცირებულ მიდგომებს? პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ამ პროცესს გარდაუვლად მიიჩნევს და ამბობს, რომ: *„ამას ვერ ავცდებით, იმიტომ რომ სწორედ დღევანდელი არადიფერენცირებული მიდგომის ერთ-ერთი შედეგია, რომ საჯარო სკოლების ავტორიზაცია უკვე მესამედ გადაიდო. ავტორიზაციის პროცესში დიფერენცირებული მიდგომა მოგვიწევს სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით, გნებავთ როტაციის, გნებავთ მოსწავლეთა რაოდენობის, თუნდაც, პროგრამების ან სწავლების ენის მიხედვით, რამაც იდეაში ძალიან დადებითი პროცესი უნდა გამოინვიოს. შედეგად უნდა გაჩნდეს სკოლის განსხვავებული კლასტერები. მაგალითად, გაჩნდეს მხოლოდ საბაზო, დაწყებითი სკოლები ან სკოლები, რომლებიც სამივე საფეხურს დაფარავენ.“*

რაც შეეხება ვადებს, კახა ერაძის ვარაუდით, მიმდინარე წელს დასრულდება სტანდარტებსა და მიდგომებზე მუშაობა. ავტორიზაციის ახალი წესი კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებაშიც ამოქმედდება. *„საჯარო სკოლებს კანონი ჩათვლის ავტორიზებულად, მაგრამ ჩვენ, ხარისხის ცენტრი, დავიწყებთ საჯარო სკოლებთან განმავითარებელ ღონისძიებებს. 2026 წელს არ ველოდებით, მანამდე უამრავი სამუშაო გვაქვს, იმიტომ, რომ ავტორიზაცია არ გულისხმობს მხოლოდ უფლების მოპოვებას, არამედ გულისხმობს ხარისხის განვითარებას. მართალია, უფლებას კანონი განსაზღვრავს, მაგრამ ამ უფლების მოპოვებამდე საჯარო სკოლები ვერ ასცდებიან იმ განმავითარებელ ღონისძიებებს, რასაც ხარისხის ცენტრი, ზოგადად, სისტემას სთავაზობს.“*

კახა ერაძე ამბობს, რომ წლის ბოლოსთვის ახალი სტანდარტი დასამტკიცებლად შეთანხმებული უნდა იყოს ყველა დაინტერესებულ მხარესთან. რაც შეეხება კერძო სკოლებს, მისივე განმარტებით, *„წესი შეეხება კერძო სკოლებსაც, რადგანაც კერძო და საჯარო სკოლის ატესტატი უფლებრივად განსხვავებული არ არის, ბუნებრივია, მოთხოვნებიც ერთნაირი უნდა იყოს“*. სპეცსკოლების ავტორიზაცია კი, შესაძლოა, დიფერენცირებული მიდგომის თემა გახდეს.

დღევანდელი მოცემულობიდან გამომდინარე, რამდენად დაძლევადი იქნება სკოლებისთვის ახალი სტანდარტით ავტორიზაციის გავლა, 63-ე საჯარო სკოლის დირექტორი ***ნანა მონიავა*** ამბობს, რომ: *„პირადად, ჩემს სკოლაში ინფრასტრუქტურა რომ მზად მქონდეს, თავისუფლად დავძლევ, მაგრამ ინფრასტრუქტურა ნამდვილად არ აკმაყოფილებს, თუნდაც, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების მოთხოვნებს. რასაკვირველია, ამ მიმართულებითაც, სკოლას გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება – ჯერ ერთი, სკოლამ უნდა თქვას, რა პრობლემა აქვს (ვინმემ რომ გიმკურნალოს, ჯერ უნდა თქვა რა გტკივა), შემდეგ სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, ამ შემთხვევაში, ინფრასტრუქტურის სააგენტო, რომ სკოლებში ინფრასტრუქტურული პრობლემები მოაგვაროს. თუმცა, ყველგან ერთდროულად ვერც ასეთი პრობლემები გადაწყდება იმიტომ, რომ სააგენტოს განსაზღვრული აქვს პრიორიტეტები. მაგალითად, თუ რომელიმე სკოლას ჭერი ჩამოენგრევა ან სახურავი აქვს შესაკეთებელი, ბუნებრივია, პირველ რიგში, ასეთ სკოლას მიხედავს და არა იმ სკოლას, რომელსაც დაზიანებული კედლის შეკეთება სჭირდება. მაგრამ რეალურად, ამ მიმართულებით, ყველა სკოლა თანაბრად უნდა უზრუნველყონ და აღჭურვონ შესაბამისი ინფრასტრუქტურით.*

ზოგადად, სტანდარტის მიზანი არის ის, რომ სკოლა ბავშვისთვის უსაფრთხო იყოს და მის განვითარებაზე ორიენტირებული. სამწუხაროდ, დღეს ეს ყველა სკოლაში ერთნაირად არ და ვერ არის უზრუნველყოფილი. გვაქვს სკოლები, სადაც ინფრასტრუქტურა არ არის მზად, მაგალითად, ბევრი სკოლის შენობა ძველია და იქ, ელემენტარულად, პანდუსებიც კი არ არსებობს, თუნდაც, იმ მიზეზის გამო, რომ თვითონ შენობაა ისეთი, სადაც პანდუსი ვერ კეთდება. ამიტომ, თუკი სკოლებს ასეთი პრობლემების მოსაგვარებლად ვადები მიეცემათ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

სტანდარტში ძირითადი მიმართულებები სწორედ სკოლის ინფრასტრუქტურა, ადამიანური რესურსი და მართვაა – როგორ მართავს ფინანსებს ან როგორ აქვს დაგეგმილი ეროვნული სასწავლო გეგმა და ა.შ. აქ ყველაზე კარგი ის არის, რომ ორიენტირები, ძირითადად, ხარისხზე გადადის. ამიტომ არის თვითშეფასების ნაწილი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი. მთავარია, ამ შეფასებისას მენეჯერი იყოს გულწრფელი და შეეძლოს იმ პრობლემების აღიარება, რაც მის სკოლაში რეალურად არსებობს.

როგორც ცნობილია, ავტორიზაციის პროცესი 2020-2021 წლიდან დაიწყება, თუმცა, წარმოუდგენელია, ამ პერიოდში, ყველა სკოლამ ერთდროულად გაიაროს.

ძველი სტანდარტი, თავისთავად, ხელმისაწვდომია და ჩვენ ვალდებულება გვაქვს, დღესაც ამ სტანდარტით ვიხელმძღვანელოთ. აქედან გამომდინარე, სტანდარტზე საუბარი სკოლებისთვის სიახლე არ იქნება, უბრალოდ, ახალი სტანდარტები იქნება განახლებული მოთხოვნებით და აქცენტებით. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ძალიან სწრაფად იცვლება ყველაფერი, შესაბამისად, ბევრი ახალი მოთხოვნა და გამოწვევაა ჩვენ წინაშე, თუკი სტანდარტი არ განახლდა, ამ ახალ მოთხოვნებს სკოლა ვერ დააკმაყოფილებს. ამის გარეშე წარმოუდგენელია, თუნდაც, იმ მოთხოვნების შესრულება, რასაც ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა გვიყენებს.

ვის შეეხება ახალი სტანდარტით ავტორიზაციის პროცესი და ძალაში რჩება თუ არა ძველი სტანდარტით მინიჭებული ავტორიზაცია? კახა ერაძე აცხადებს, რომ ახალი სტანდარტით ავტორიზაცია დაიწყება მათთვის, ვისაც ამ პერიოდში რეავტორიზაცია მოუწევს, ხოლო მათ, ვისაც ავტორიზაცია მიღებული აქვს (მოგეხსენებათ, ავტორიზაცია 6-წლიანია), ვადის გასვლამდე ხელახალი ავტორიზაცია არ მოუწევთ. იმ სკოლებს კი, რომლებსაც წელს არ ეწურებათ ავტორიზაციის ვადა, მიეცემათ გარდამავალი პერიოდი იმისთვის, რომ შესაბამისობაში მოვიდნენ ახალ სტანდარტებთან. სკოლების ნაწილს კი, ვისაც ახალი სტანდარტის ძალაში შესვლამდე შეუწყდებათ ავტორიზაცია, ისევ ძველი, მოქმედი სტანდარტით მოუწევთ ავტორიზაციის გავლა.

ინფორმაცია



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2020 წლის 3 თებერვლიდან 10 თებერვლის ჩათვლით, აცხადებს რეგისტრაციას I-XII კლასების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის ექსტერნატის ფორმით დაძლევის მსურველთათვის.

გამოცდაზე გასვლის უფლება აქვთ იმ პირებს, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო ჩამოშორებული არიან სასწავლო პროცესს და არ აქვთ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე იმ პირებს, რომლებიც სწავლობენ სკოლაში, თუმცა მათი ასაკი აღემატება კანონმდებლობით განსაზღვრულ მინიმალურ ასაკს და გამოთქვამენ სურვილს პროგრამის ექსტერნატის ფორმით დაძლევასთან დაკავშირებით.

ექსტერნატის ფორმით პროგრამის დაძლევის მსურველთათვის გამოცდები 18 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით ჩატარდება.

დამატებით, მეთორმეტე კლასის ექსტერნატის წესით დაძლევის მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ, გამოცდები ჩააბარონ მიმდინარე წლის ივნისშიც. დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის, ექსტერნად რეგისტრაციის დამატებით ვადად, განისაზღვრა 1-დან 5 ივნისის ჩათვლით, ხოლო გამოცდები მათთვის 15 ივნისიდან 24 ივნისის ჩათვლით ჩატარდება.

რეფორმა

ახალი სკოლის მოდელი – შეფასებები

თამარ მოსიაშვილი
„სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის“ განათლების სპეციალისტი

საქართველოში საზოგადოება ძალიან წუხს, როდესაც ჩვენ გვაქვს არცთუ ისე კარგი მიღწევები ეროვნულ და საერთაშორისო შეფასებებში. თუ ამ შედეგებს კარგად გავაანალიზებთ, მივხვდებით, რომ ამ დაბალი შედეგების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი გახლავთ ის, რომ ქალაქებსა და სოფლებში, მოსწავლეთა მიღწევებს შორის, განსხვავება დიდია. სამწუხაროდ, უფრო და უფრო იზრდება მოსწავლეების აკადემიურ მიღწევებს შორის განსხვავებები და ამ მიღწევებზე გავლენას ახდენს მოსწავლის სოციოეკონომიკური სტატუსი – როგორი შემოსავალი აქვს მის ოჯახს, სად ცხოვრობს, როგორი განათლება აქვთ მშობლებს, როგორ სკოლაში სწავლობს ეს ბავშვი, რამდენად კვალიფიციური მასწავლებლები ასწავლიან და ა.შ.

შესაბამისად, ჩვენ გვაქვს, ასე ვთქვათ, ღარიბი თემის სკოლები და ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იყოს ისეთი პროგრამა, რომელიც გაითვალისწინებს დამატებით სერვისებს ასეთი სკოლებისთვის. სამწუხაროდ, მე ვერ მოვისმინე, რომ „ახალი სკოლის მოდელში“ გათვალისწინებულია ამ ტიპის სკოლების საჭიროებები.

და კიდევ ერთი, ზოგადად, ცხადია, მეთოდოლოგიაზე, რომელიც ახალი სკოლის ავტორებმა შეიმუშავეს, არ ვდავობ, მეთოდების განხილვა პროფესიონალების და აკადემიურ წრეებში შეიძლება მოხდეს, ასევე, ეფექტურობის შეფასება, კვლევები და სხვ. უბრალოდ, ეს ისევ ცენტრალიზებული პროგრამაა და სამწუხაროდ, ვერა და ვერ გადავედით განვითარების ახალ ეტაპზე, როდესაც სახელმწიფო მიიღებდა გადაწყვეტილებას, რომ სისტემის დეცენტრალიზაციას შეუწყოს ხელი.

ნინო კაპანაძე
„ახალი სკოლის მოდელის“ კურიკულუმის განვითარებისა და დანერგვის ექსპერტი/ქოუჩი
სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №3 საჯარო სკოლაში

ჩვენი სკოლა პროექტში პირველ ეტაზე, 65 სკოლას შორის, ჩაერთო. პირველ-მეოთხე კლასებში 20 პარალელური კლასია, რომელშიც 40-ზე მეტი მასწავლებელი ასწავლის.

რით არის საინტერესო პროექტი? ჩვენს რეალობაში პირველად, ეროვნული სასწავლო გეგმით დასახულ გრძელვადიან მიზნებთან მისასვლელ გზას, ანუ სკოლის კურიკულუმს, სასკოლო თემი თავად ქმნის, უფრო ზუსტად, ავითარებს. ავითარებს, რადგანაც გასული სასწავლო წლის ბოლოს შექმნილი თემატური მატრიცების გაუმჯობესების ინიციატორები, დანერგვის ეტაპზე, თავად ავტორები და მათი კოლეგები გახდნენ. ეს უწყვეტი პროცესი იქნება. თვალნათლივ ვხედავთ, როგორ ვითარდება თანამშრომლობა პარალელური კლასების და საერთოდ, მასწავლებლებს შორის. პარალელური (ჩვენ შემთხვევაში, 5-6 პარალელური) კლასის მასწავლებლები ქმნიან საერთო თემატურ მატრიცას, რომლის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს კომპლექსური დავალება. ის, თავისი არსით, არის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი, რომელმაც მასწავლებელს და მოსწავლესაც, სამიზნე ცნებასთან და მის მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით, შეფასებისა და თვითშეფასების საშუალება უნდა მისცეს. პარალელური კლასების მასწავლებლები გეგმავენ სწავლა-სწავლების პროცესს, რომელიც, კომპლექსურიდან კომპლექსურამდე, ერთდროულად წარიმართება და საბოლოოდ, ერთად ხდება ჩატარებული აქტივობების შეჯერებაც. შემდეგ იწყება მომდევნო ეტაპის დაგეგმვა და განხორციელება და ასე შემდეგ. კოლეგები უზიარებენ ერთმანეთს სასწავლო რესურსებს, სტრატეგიებს, მეთოდებს. საბოლოოდ, შეთანხმებული თემატური მატრიცა სკოლის კურიკულუმში იტვირთება, რომელიც ონლაინსივრცეში განთავსებულ საქაღალდეში ინახება და პროექტში ჩართული ყველა მასწავლებლისთვის, ექსპერტისთვის, პროექტის მმართველი გუნდისთვის ხელმისაწვდომია. ეს გაზიარებულობა ქმნის საშუალებას, საგნობრივმა ექსპერტებმა უწყვეტ რეჟიმში გააანალიზონ ძლიერი და სუსტი მხარეები, გააკეთონ უკუკავშირი, შექმნან და შემოგვაშველონ დამხმარე ინსტრუმენტები, რომელიც პედაგოგებს მუშაობას გაუიოლებს.

ფაქტობრივად, 65 + 100 სკოლა წარმოადგენს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაშლილ პედაგოგიურ „ლაბორატორიას“, რომელიც სცდის ახალ მიდგომებს, ინსტრუმენტებს და ღია და გახსნილ რეაგირებას ახდენს პროექტის გამოწვევებზე. სამინისტროს ექსპერტები მუდმივად მუშაობენ გზამკვლევების, ინსტრუმენტების გაუმჯობესებაზე, რომ „ახალი სკოლის მოდელის“ გაშლის ეტაპზე, რაც მომავალი სასწავლო წლისთვის იგეგმება, სკოლებმა უფრო მოქნილი რეკომენდაციები მიიღონ.

სწავლა-სწავლების პროცესის ცენტრში, რა თქმა უნდა, მოსწავლეა და მოდელი მას საშუალებას აძლევს, მიიღოს პირობისეული ცოდნა, ჩაერთოს მისთვის დაძლევად სააზროვნო პროცესებში და გაიაზროს რა ნაბიჯებს დგამს კონკრეტული ამოცანის დაძლევისთვის.

ადვილი არ არის ამ სიახლის კლასში გადატანა, ყველა ხალისით არ ერთვება საქმეში, მაგრამ ერთი ფაქტია, ყველაზე სკეპტიკოსებიც კი აღიარებენ, რომ ასეთი თანამშრომლობა მასწავლებლებს შორის არასდროს ყოფილა. მოსწავლეების ჩართულობა მატულობს, ისინი ძალიან მნიშვნელოვან უნარებს ივითარებენ, ხალისით წარმოადგენენ კომპლექსურის შედეგად შექმნილ პროდუქტებს, რომელსაც ხშირად ელექტრონულად ქმნიან. გასულ სემესტრში 100-მდე გაკვეთილს დავესწარით და თითოეული მათგანი იქცა კონკრეტული წინსვლის პირობად, რადგან უკუკავშირი ყოველთვის მყისიერი და კონკრეტულია, გაუმჯობესების გზასაც, უმეტესწილად, თავად მასწავლებელი ისახავს საკუთარ გაკვეთილზე მსჯელობისას. მასწავლებლები, რომლებიც ზედა საფეხურებზეც ასწავლიან, საკუთარი სურვილით, უფროს კლასებშიც იყენებენ ამ მიდგომებს და ძალიან საინტერესო შედეგებზე გვესაუბრებიან.

შორს ვართ იმ აზრისგან, რომ პროექტით დასახული მიზნების მიღწევა ამ დროში ამომწურავად შევძელით, რადგან არსებობს ობიექტური ბარიერები, იმავე დროის დეფიციტის, პარალელური პროცესების, ორცვლიანი სწავლების და სხვა მომენტების სახით, ხანდახან სუბიექტურ ბარიერებსაც ვაწყდებით, მაგრამ ეს ნებისმიერი რეფორმის თანმდევი პროცესია და დიდი იმედი გვაქვს, რომ პროექტის გაფართოების კვალდაკვალ ასეთი წინააღმდეგობები მინიმუმამდე შემცირდება.

როლანდ ხოჯანაშვილი
სასკოლო სასწავლო გეგმების დაგეგმვისა და დანერგვის ექსპერტი

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკა 26 წელზე მეტს მოითვლის. პირველად, როცა სკოლაში მასწავლებლის პოზიციაზე მივედი, მხოლოდ 18 წლის ვიყავი. მაშინ ჯერ კიდევ იყო დაუსწრებელი სწავლის ფორმა და მეორე კურსის სტუდენტმა გავბედე სწავლება. 1993 წელს ბევრს უკვირდა, რატომ ავირჩიე მასწავლებლობა. ათასჯერ რომ მომეცეს პროფესიის არჩევანის შესაძლებლობა, ისევ მასწავლებლობას ავირჩევდი...

გასულ წელს მონაწილეობა მივიღე შესარჩევ კონკურსში სასწავლო გეგმის დაგეგმვა-დანერგვის ექსპერტის პოზიციაზე. გასაუბრების ეტაპი წარმატებით გავიარე, შემდეგ – ინტენსიური გადამზადების კურსი და საჩხერის №1 საჯარო სკოლაში გამამწესეს კურიკულუმის ექსპერტად. მოსალოდნელი 27 მსმენელის ნაცვლად, გაცილებით მეტი პედაგოგი დამხვდა პირველივე შეხვედრაზე – ჩანდა, რომ სკოლაში ბევრს აინტერესებდა, რა იყო რეფორმის ეს ახალი ტალღა. თავიდან გამომჟღავნებული და გამოუმჟღავნებელი სკეპტიციზმიც იყო, რომელიც ნელ-ნელა და „ხავერდოვნად“ დავამარცხეთ! რომ გითხრათ, დიდი ძალისხმევა დამჭირდა ამისთვის, ტყუილი იქნება, რადგან სკოლაში მისვლამდე ისეთ ხალხთან მქონდა პროფესიული წაფვის კურსი გავლილი, რომელთა კვალიფიკაცია საერთაშორისო დონისაა! მადლობა მინდა ვუთხრა მათ გამოცხადებული ნდობისათვის.

საჩხერის №1 საჯარო სკოლაში ძალიან მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგები და არაჩვეულებრივი ადმინისტრაციული რესურსი დამხვდა. სკოლის დირექტორი ირმა კაპანაძე 21-ე საუკუნის მოთხოვნების შესაფერისი საგანმანათლებლო ლიდერია, რომელიც მუნიციპალიტეტის ყველაზე დიდ სკოლას მართავს დემოკრატიული პრინციპებით და მისგან მუდამ ვგრძნობდი მხარდაჭერას! მინდა გავიხსენო გამორჩეულად სკეპტიკოსი პედაგოგი, რომელიც გასული წლის დეკემბრის ბოლოს სახალხოდ გამოგვიტყდა, ეს რა კარგი რამე ყოფილაო! ვერავინ დამალავს იმ მიღწევებს, რომელიც ამ ფუნდამენტურ რეფორმას მოჰყვა სკოლებში. ნახონ კრიტიკულად განწყობილმა ადამიანებმა, როგორ უხარიათ ბავშვებს „მატრიცული“ გაკვეთილები, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ მოსაწყენი, სტატიკური გაკვეთილების ნაცვლად, დინამიკური პროცესის შემოქმედია მოსწავლე, მასწავლებელი – მხოლოდ მოდერატორი. ამ „მოდელის“ მიხედვით, ბავშვი არის აღიარებული და არაფერი ისე არ უნდა პატარას, როგორც აღიარება, დაფასება და მხარდაჭერა. ვის რად უნდა მხოლოდ განმსაზღვრელი შეფასება?! ახლა განმავითარებელი შეფასების და კონსტრუქტივისტული მიდგომების დროა!

ჩვენ უნდა მოვახერხოთ და გავზარდოთ კონკურენტუნარიანი ახალგაზრდები, რომლებსაც მხოლოდ დეკლარატიულ ცოდნას კი არ მივცემთ, არამედ მოვამზადებთ სწავლის სწავლისათვის, მუდამ მზად უნდა იყვნენ სიახლეების ფეხის ასაწყობად! ბავშვი, რომელიც „იგემებს“ კომპლექსურ დავალებას, მასწავლებელს აღარ მისცემს უფლებას, რომ სხვაგვარად წარმართოს საქმიანობა სკოლაში.

ამ „მოდელის“ მიხედვით მასწავლებელი ხდება კონტაქტური კოლეგებთან, მოსწავლეებთან, ადმინისტრაციასთან და ზოგადად, იმ თემთან, რომელსაც პირდაპირი თუ ირიბი შეხება აქვს საგანმანათლებლო სისტემასთან. მასწავლებლებს ერთი მიზანი აერთიანებთ – მოსწავლის პროგრესი.

არ მინდა საკითხის რომანტიზება, მაგრამ სინამდვილე ისაა, რომ კურიკულუმის დაგეგმვა-დანერგვის ექსპერტის პოზიციაზე არა მარტო ჩემი თავი წარმოვაჩინე კარგად, არამედ შევიძინე ახალი მეგობრები საჩხერელი მასწავლებლების სახით, რომლებიც ყოველი შეხვედრის დასრულებიდან რამდენიმე საათში მომენატრებიან ხოლმე...

ნინო მახარაშვილი-ბუხრიკიძე
კურიკულუმის განვითარების ექსპერტი, ტრენერ-კონსულტანტი

ხაშურის №3 საჯარო სკოლა აქტიურად ჩაერთო „ახალი სკოლის მოდელის“ საპილოტე რეჟიმში. პროექტის ძირითადი მიზანია საქართველოს სკოლებში მიმდინარე სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება და სასკოლო კლიმატის გაჯანსაღება, რაც გულისხმობს სასკოლო ცხოვრების რეალურ ცხოვრებასთან დაახლოებას და ამ გზით სასწავლო პროცესის გამოცოცხლებას, საკლასო ოთახის გადაქცევას მოსწავლეთა შემოქმედებითი და შემეცნებითი ძალების განვითარების ადგილად, შემოქმედებითი ინიციატივების ხელშეწყობას, თანამშრომლობითი გუნდური მუშაობის კულტურის დანერგვას.

მოსწავლეზე ორიენტირებული „ახალი სკოლის მოდელის“ დანერგვაში, როგორც ყველა სკოლაში, ხაშურის №3 სკოლაშიც მონაწილეობს სკოლის ადმინისტრაცია, კურიკულუმის, ტექნოლოგიების და ლიდერობის ექსპერტები, პედაგოგები. სკოლაში მოსწავლემ არა მარტო ცოდნა უნდა მიიღოს, არამედ სასწავლო მასალა იმდენად სიღრმისეულად და არსობრივად უნდა გაითავისოს, რომ მისი კრიტიკულად გაანალიზება, შემოქმედებითად გააზრება და სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება შეძლოს. სკოლის გარემო კი, პიროვნებაზე უნდა იყოს ორიენტირებული, მზრუნველი, ჰარმონიული, თანამშრომლობითი და უსაფრთხო, რაც ყველა მოზარდს საკუთარი პოტენციალის რეალიზების საშუალებას მისცემს.

მასწავლებელმა უნდა იცოდეს თითოეული მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები, მათი ინტერესები, საჭიროებები და ისე დაგეგმოს თითოეული თემა, რომელსაც გაკვეთილზე შეიტანს, რომ ეს მასალა ყველა მოსწავლისთვის თანაბრად გასაგები და ხელმისაწვდომი იყოს.

„ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, პირველად გაჩნდა საშუალება, პედაგოგებს მათთვის საინტერესო ყველა საკითხზე უშუალოდ სკოლაში ვესაუბროთ და თანამშრომლობის პირობებში, სასკოლო სივრცეშივე, ვეძებოთ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზები. კურიკულუმის ექსპერტები მასწავლებლებს ვაძლევთ დროულ კონსტრუქციულ უკუკავშირს, რომელიც დამყარებულია კონკრეტულ საჭიროებებსა და პოზიტივზე. ასევე მნიშვნელოვანი ორიენტირია თანამშრომლობითი კულტურის განვითარება.

ჩვენი სკოლის პედაგოგები არც შემოქმედებითობით და არც გამოცდილებით არავის ჩამოუვარდებიან, 22 მასწავლებელთან მიწევს მუშაობა, ყველა მათგანი უფროსი და წამყვანი პედაგოგია. მათ უბრალოდ არ ჰქონდათ საკუთარი პრაქტიკის აღრიცხვისა და სხვებისთვის გაზიარების ჩვევა. პროექტი „ახალი სკოლის მოდელი“, სასკოლო კურიკულუმების საშუალებით, სწორედ ამ ხარვეზს ავსებს. ეს, ერთი მხრივ, პედაგოგთა პროფესიულ ზრდას უწყობს ხელს, მეორე მხრივ კი – სკოლის ერთიან გუნდად ჩამოყალიბებას. კურიკულუმები მოსწავლეების ინტერესებსა და შესაძლებლობებზეა მორგებული, ვითვალისწინებთ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს: აქტიური სწავლა-სწავლება, რომელიც მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას უწყობს ხელს; ახალი ცოდნის კონსტრუირება მოსწავლის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით – მოსწავლის თანდათანობითი მიყვანა ახალ ცოდნამდე, ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით; ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება – მოსწავლის გონებაში ცნებათა ბმულების ჩამოყალიბება, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით შეძენილი ცოდნის გამთლიანებაში დაეხმარება; სწავლის სწავლა – იმ სტრატეგიების გაცნობიერება, რომელსაც მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში იყენებს; ცოდნის სამი კატეგორია: დეკლარატიული (რა ეწოდება?), პროცედურული (როგორ შევასრულო?) და პირობისეული (როდის გამოვიყენო?) – სასწავლო მასალის არა მხოლოდ დამახსოვრება, არამედ სიღრმისეულად გააზრება და ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირება. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, განათლების რეფორმის კონცეპტუალური მხარე ამ ხუთი პრინციპის საკლასო ოთახში რეალიზებამდე დაიყვანება.

კონსტრუქტივიზმის პრინციპების განხორციელებაში მასწავლებლებს ვთავაზობდი აქტივობებისა და კომპლექსური დავალებების ნიმუშებს, რომელიც მათ საკლასო ოთახში რეალიზებული კონსტრუქტივისტული პრინციპების გადატანისათვის იყენებდნენ და არგებდნენ თავიანთი მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებს და საჭიროებებს. დაწერილ მატრიცებს კი ვტესტავდით გაკვეთილებზე და ვაკვირდებოდით როგორ იზრდებოდა დღითი დღე მოსწავლეთა ჩართულობა და ანალიზისა და სინთეზის უნარი. კლასში არ რჩებოდა დაუსაქმებელი მოსწავლე. კომპლექსური დავალებების შექმნაში ყველა მოსწავლეა ჩართული, შემდეგ კი ხდება ამ დავალებების გასიტყვება. მოსწავლეებს იმდენად მოსწონთ ასეთი გაკვეთილები, რომ სხვაგვარ სწავლებას აღარც მოისურვებენ. წარსულს ჩაბარდა ტექსტების მხოლოდ დაზეპირება. ახლა ხდება თითოეული ტექსტის გაგება-გაანალიზება, შედარება, ინტერპრეტირება და აზრის დასაბუთება.

2019 წლის ნოემბერ-დეკემბერში სკოლაში განვახორციელეთ პროექტი მშობელთა ჩართულობით. ყველა მასწავლებელმა ჩაატარა მშობელთა თანდასწრებით ღია გაკვეთილები, სადაც მათ დაინახეს თავიანთი შვილების შედეგები, არსებული გამოწვევები და დადებითად შეაფასეს „ახალი სკოლის მოდელი“.

„ახალი სკოლის მოდელი“ არის პროექტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ჩვენს სკოლაში შევქმნათ ნიმუში იმისა, თუ რა

რეფორმა

არის ჩვენთვის კარგი სკოლა და კარგი სასწავლო პროცესი. შემდეგ კი მის დახვეწასა და განვითარებაზე ვიზრუნოთ. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს შეუძლია და მართებს წვლილი შეიტანოს სკოლის განვითარებასა და გაუმჯობესებაში. ამიტომ ყველა ცვლილება მხოლოდ ზრუნვისა და თანამშრომლობის და არა კონკურენციის რეჟიმში შეიძლება განხორციელდეს.

მზია სალაძე
სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ბათუმის №1 საჯარო სკოლის „ახალი სკოლის მოდელის“ კურიკულუმის განვითარების ექსპერტი, დაწყებითი კლასების მენტორი მასწავლებელი

როგორც დაწყებითი კლასების პრაქტიკოსი მასწავლებელი, 40-წლიანი მუშაობის გამოცდილებით, უამრავი სიახლისა და რეფორმის მონაწილე ვარ, ამიტომ თავს უფლებას ვაძლევ, ვისაუბრო პროექტის „ახალი სკოლის მოდელი“ დადებით მხარეებზე.

„ახალი სკოლის მოდელს“ ხშირად ადარებენ ფინურ და ესტონურ მოდელებს, რაშიც ვერ დავეთანხმები. პროექტი შემუშავებულია ქართველი ექსპერტების მიერ და სრულიად ქართული პროექტია. ჩემი მრავალწლიანი გამოცდილებით, თამამად შემიძლია ვთქვა: რაც ახლა ხდება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში და რასაც „ახალი სკოლის მოდელი“ ჰქვია, არის განათლების სისტემაში დანერგილი რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილი. მისი მიზანია პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, რომელიც მოსწავლეს 21-ე საუკუნის რეალობისათვის საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს მისცემს. ახალი სკოლის მოდელს ორი ძირითადი მიზანი აქვს: სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და კარგი ადამიანისა და მოქალაქის აღზრდისათვის საჭირო გარემოს შექმნა.

ვეთანხმები მოსაზრებას, რომ კარგი პედაგოგი ყველა დროში კარგად ახერხებდა თავისი მოვალეობის შესრულებას, თუმცა ახალი მოდელი მათ ახალ შესაძლებლობას აძლევს. სწავლა-სწავლების პროცესში გამოიკვეთა მთავარი – სწავლების გრძელვადიანი მიზნის მიღწევა. ადრე მოსწავლეებს არ ჰქონდათ საშუალება მოეხდინათ ცოდნის ადაპტირება და გაეკეთებინათ ტრანსფერი ცხოვრებისეულ სიტუაციებთან, მიღებულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას შორის. მასწავლებლები ორიენტირებული იყვნენ მოკლევადიან, კონკრეტულ საგაკვეთილო მიზანზე. ახალი მოდელით კი, მთავარი ორიენტირი მოსწავლის გრძელვადიანი მიზნებია; პირობისეული ცოდნის გააქტიურება და დახმარება გაიაზროს მიღებული ცოდნა და უნარების ღირებულება – რაში სჭირდება, როგორ გამოიყენებს ცხოვრებაში, სად, რა ფორმით და რასთან კავშირში შეძლებს მიღებული ცოდნის რეალიზება-გამოყენებას. ამ ყველაფრის გაცნობიერების შემდეგ, კი მოსწავლეს სულ სხვა შინაგანი მოტივაცია და ინტერესი აღეძრება.

პედაგოგებმა დაიწყეს ფიქრი იმაზე, როგორ გაუჩინონ მოსწავლეებს მოტივაცია, შეძენილი ცოდნის, უნარების და გარემოსთან ადაპტირებული ცოდნის თანხვედრა.

სკოლის პედაგოგებს შორის ყალიბდება ახალი სახის ურთიერთობა და თანამშრომლობა, ე.წ. „ფარული კურიკულუმი“. მასწავლებლები ხდებიან კოლეგიალურები; ისინი ერთმანეთის კონკურენტები არ არიან; პარალელური კლასის მასწავლებლები, პარალელურ რეჟიმში, ასწავლიან სასწავლო თემას, რომელიც კურიკულუმშია წარმოდგენილი (მუშაობენ თემატური მატრიცის მიხედვით). თემის სწავლა-სწავლების დაწყებამდე, ერთობლივად განიხილავენ თემატურ მატრიცას (კომპლექსურ დავალებებს, მსჯელობენ კომპლექსური დავალებების განხორციელებისთვის საჭირო აქტივობებზე), აქტიურად თანამშრომლობენ და ერთმანეთს უზიარებენ მოსაზრებებს მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. თემის დასრულების შემდეგ, ერთად იკრიბებიან და განიხილავენ, არჩევენ საუკეთესო ვარიანტს.

პროექტის სიკეთეს ისიც მოწმობს, რომ „ახალი სკოლის მოდელი“ მოსწონს მთავარ ობიექტს, ვისთვისაც ყველაფერი კეთდება – მოსწავლეს. ეს კი, ვფიქრობ, მთავარი ინდიკატორია პროექტის შესაფასებლად. ბოლოს კი გავიმეორებ ქალბატონ თამარ ჯაყელის სიტყვებს: „ახალი სკოლის მოდელს“ ბევრი ქვეყანა გადაიღებს და გამოიყენებს.

მოამზადა ლალი თვალაბეიშვილმა

იურისტის კონსულტაცია

როგორც უკვე დაანონსდა, 2020 წლიდან კრედიტქულების დაგროვების სისტემას „მასწავლებლის პროფესიის რეგულირების წესი“ ჩაანაცვლებს. საინტერესოა, რა შეღავათებს და ვალდებულებებს ითვალისწინებს მასწავლებლებისათვის ეს ნორმატიული აქტი?

„მასწავლებლის პროფესიის რეგულირების წესის მიხედვით“ შეიცვლება პროფესიაში შესვლა, შენარჩუნება და დაწინაურება.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებლების მიერ მოპოვებული კრედიტქულები არ გაუქმდება, თუმცა, აღარ იარსებებს შიდა მექანიზმებით კრედიტების დაგროვების სისტემა. როგორც ცნობილია, სკოლაში არსებობდა შიდა შეფასების ჯგუფი, რომელიც აფასებდა მასწავლებლის მიერ განხორციელებულ აქტივობებს და ამის მიხედვით ანიჭებდა კრედიტქულებს. მსგავსი სისტემა აღარ იარსებებს. ახალი სისტემის მიხედვით, მასწავლებელს მიეცემა საშუალება დააგროვოს კრედიტქულები გარე მექანიზმებით. ეს გულისხმობს იმას, რომ ის პრაქტიკოსი მასწავლებლები, რომელთაც ყველა სავალდებულო აქტივობა აქვთ გავლილი – ჩააბარეს ორივე გამოცდა, 2 შიდა საგაკვეთილო დაკვირვება, დაგროვებული აქვთ 15 კრედიტქულა, ხუთკრედიტიანი სატრენინგო პროგრამის წარმატებით გავლის შემთხვევაში შეძლებენ 19 კრედიტქულამდე კრედიტების შევსებას და უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოპოვებას. იმ შემთხვევაში, თუ პედაგოგს არ აქვს გამოცდა ჩაბარებული, მაშინ შეუძლია გაიაროს ტრენინგმოდულები, პარალელურად, ჩააბაროს გამოცდა და დააგროვოს 19 კრედიტქულა. მეტი სიზუსტისათვის, განვმარტავთ, რომ გარე მექანიზმებს წარმოადგენს ტრენინგები და გამოცდა.

ყველა პრაქტიკოს მასწავლებელს შეეძლება ტრენინგზე დარეგისტრირება? ხომ არ იქნება ადგილები შეზღუდული რეგისტრაციაზე? რა ელით იმ მასწავლებლებს, რომლებსაც სხვადასხვა აქტივოებებით აქვთ მოპოვებული 19 და მეტი კრედიტქულა, მაგრამ კომპეტენციები (თუნდაც ერთ-ერთი) არ აქვთ დადასტურებული?

ტრენინგზე დარეგისტრირება შეეძლება ყველა პრაქტიკოს მასწავლებელს, მათ შორის, ვინც ჯერ არ გასულა გამოცდაზე. რაც შეეხება მასწავლებლებს, რომელთაც 19 და მეტი კრედიტქულა აქვთ მოპოვებული, მაგრამ არ აქვთ დადასტურებული კომპეტენციები როგორც პროფესიული უნარების, ასევე საგნობრივი, განვმარტავთ, რომ ორივე კომპეტენციის დადასტურება აუცილებელი წინაპირობაა უფროსის სტატუსის მოსაპოვებლად.

ხუთკრედიტიან ტრენინგზე რეგისტრაცია 15 თებერვლიდან დაიწყება. პედაგოგებს 3 კრედიტის მოპოვება შეეძლებათ საგნობრივი კომპეტენციის ტრენინგებიდან, 2 კრედიტის – პროფესიული უნარების ტრენინგებიდან. მასწავლებლებს ტრენინგ მოდულების წარმატებით გავლის შემთხვევაში, 1-დან 5-მდე კრედიტის დაგროვების შესაძლებლობა ექნებათ. პედაგოგები მათთვის სასურველი და საჭირო კრედიტქულის შესაბამისი ტრენინგმოდულის შერჩევას თავად შეძლებენ.

შენარჩუნდება თუ არა გამოცდებზე 1, 4, 7 კრედიტის მიღების შესაძლებლობა?

როგორც ცნობილია, პრაქტიკოსი მასწავლებლებისათვის ზაფხულის გამოცდებზე 1, 4 და 7 კრედიტქულის მიღების შესაძლებლობა ისევ ძალაში რჩება.

პრაქტიკოსი და პროფესიაში შემსვლელი პედაგოგებისთვის განკუთვნილ კომპეტენციის დადასტურების გამოცდაში ხომ არ არის რაიმე სიახლე და როდის ჩატარდება?

უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებელი გამოცდა ზაფხულში ჩატარდება. ფორმატი და შინაარსი იქნება იგივე, ცვლილება ეხება მხოლოდ გამოცდის ქულის შენარჩუნებას. წინა სქემის მიხედვით, თუ მასწავლებელი ერთი და იმავე საგანში ორჯერ გავიდოდა გამოცდაზე, ადრინდელი შედეგი უქმდებოდა. ახალი რეგულაციის მიხედვით კი, თუ მასწავლებელმა მეორედ ჩააბარა გამოცდა, წინა გამოცდის შედეგი არ დაეკარგება. მას მიეცემა იმის საშუალება, მიღებული შედეგებიდან, აირჩიოს მისთვის საუკეთესო შედეგი.

ჩატარდება თუ არა 2020 წელს გამოცდები, წამყვანი და მენტორი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად?

გამოცდა, რომელიც განკუთვნილი იქნება წამყვანი და მენტორი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად, წელს ვერ მოესწრება, რადგან უნდა შეიცვალოს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. ახალი სტანდარტის პროექტი შემუშავებულია და განხილვის პროცესშია.

რა გამონაკლისს აწესებს „მასწავლებლის პროფესიის რეგულირების წესი“ უფროსი მასწავლებლებისათვის?

წელს, იმ უფროსი პედადოგებისათვის, რომელთაც სურთ წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოპოვება, დაშვებულია რიგი შეღავათები. უფროს მასწავლებლებს, რომლებსაც 15 კრედიტქულა აქვთ დაგროვებული, მათ შორის, სავალდებულო აქტივობები სრულად აქვთ განხორციელებული (2 სამოდელო გაკვეთილი და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა) და ყველაფერი წარმატებით დაუდასტურდათ, გამონაკლისის სახით, სექტემბერიდან დეკემბრის ჩათვლით, ეძლევათ გარე დაკვირვების გავლის უფლება, რის შედეგადაც წამყვანის სტატუსი მიენიჭებათ. იმ უფროს მასწავლებლებს, რომელთაც კვლევა დაუხარვეზდათ, შეუძლიათ დაიწყონ მუშაობა ხარვეზის გამოსწორებისათვის და, სავარაუდოდ, აპრილიდან მიეცემათ შესაძლებლობა ატვირთონ კვლევები. ვისაც კვლევა დადებითად შეუფასდება, სექტემბრიდან დეკემბრამდე შეეძლებათ გაიარონ რეგისტრაცია გარე დაკვირვებაზე და 2020 წლის ბოლომდე დასრულდება მათთვის წამყვანის სტატუსის მინიჭების პროცესი. ხოლო მასწავლებლებს, რომლებსაც წელს მიენიჭათ უფროსის სტატუსი, მათ ახალი რეგულაციებით მოუწევთ სტატუსის შეცვლა.

ვინ არიან მასწავლებლობის მაძიებლად რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირები?

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციის პროცედურები და მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდის გავლის წესი. ბრძანებაში, ასევე, საუბარია იმ პირებზე, რომლებიც არიან უფლებამოსილი პირები რეგისტრაცია გაიარონ მასწავლებლობის მაძიებლის პროგრამაზე. როგორც ბრძანებაშია ნათქვამი, მასწავლებლობის მაძიებლად რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირებია:

1. 2023 წლამდე მასწავლებლობის მაძიებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და მას არ მოეთხოვება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის აკადემიური ხარისხის ფლობა, ასევე, სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების მქონე პირი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირები ვალდებული არიან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლობის მაძიებლად დასაქმებამდე ჩააბარონ იმ საგნის გამოცდა, რომლის სწავლებაც სურთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

3. მასწავლებლობის მაძიებლად მიიჩნევა ასევე პირი, რომელიც 2018-2019 სასწავლო წლის დასაწყისისათვის ასწავლიდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართული არ იყო.

რას მოიცავს მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამა?

„მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციის და მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდის გავლის წესისა და მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ნიმუშისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მიხედვით მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამა მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას, ესენია: აკადემიური კურსი და პედაგოგიური პრაქტიკის კურსი, რომელიც ითვალისწინებს მაძიებლისთვის როგორც თეორიული ცოდნის გაღრმავებას, აგრეთვე პრაქტიკული ცოდნის მიღებასა და გავლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

როგორ მოხდება მაძიებლისათვის გავლილი კურსის შეფასება?

მასწავლებლობის მაძიებლის მიერ, მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამის პედაგოგიური პრაქტიკის კურსის დასრულების შემდგომ, სკოლის დირექტორი აფასებს მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში განთავსებულ დოკუმენტებს და იღებს გადაწყვეტილებას მასწავლებლობის მაძიებლის მიერ პედაგოგიური პრაქტიკის კურსის გავლის დადებითად ან არაყოფითად შეფასების შესახებ და წერილობითი ფორმით მიმართავს ცენტრს. მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამის აკადემიური კურსის შეფასებას ახორციელებს ცენტრი, ხოლო პედაგოგიური პრაქტიკის კურსის შეფასებას – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება. მასწავლებლობის მაძიებლის მიერ მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამა ითვლება წარმატებულად გავლილად, თუ მასწავლებლობის მაძიებელი აკადემიური და პედაგოგიური პრაქტიკის კურსში შეფასდება დადებითად.

მოხდება თუ არა მაძიებლობის პროგრამის გავლის პერიოდის ანაზღაურება და რა იქნება მათი საძმიანობა ამ პერიოდში?

რასაკვირველია, მაძიებლობის პროგრამის პერიოდი ანაზღაურებადია, ვინაიდან, პედაგოგები ამ დროს ჩვეულებრივ ასწავლიან საგანს და, პარალელურად, გადიან მასწავლებლობის მაძიებლობის კურსს მაძიებლობის პროგრამაზე. ამ პერიოდში მათი ანაზღაურება უტოლდება პრაქტიკოსი მასწავლებლის ანაზღაურებას.

რატომ არ მიეცემა დანამატი სრულად უფროს, წამყვან და მენტორ მასწავლებლებს, იმ შემთხვევაში, როდესაც სკოლაში შესაბამის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნის/საგნებისათვის გათვალისწინებული საგაკვეთილო საათების რაოდენობა ნაკლებია ამ დანამატის სრული ოდენობის მისაღებად საჭირო საგაკვეთილო საათების რაოდენობაზე?

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 126/ნ ბრძანების თანახმად, ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ უცხო ენის პედაგოგებს ეძლევათ სრულად სტატუსის დანამატი.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ნორმა დისკრიმინაციულია სხვა საგნის პედაგოგთა მიმართ. ასეთი მიდგომები უარყოფითად მოქმედებს მასწავლებელთა მოტივაციასა და სწავლების ხარისხზე, ასევე, აჩენს ეჭვს სხვა საგნების აქტუალურობასა და თანაბარმნიშვნელოვნობასთან დაკავშირებით.

ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით, 2016 წლის ივლისს, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალმა პროფკავშირმა ინიციატივით მიმართა განათლების მინისტრს და მოითხოვა ცვლილებების განხორციელება კანონში. განათლების მინისტრმა დადებითად გადაწყვიტა საკითხი და განათლების სამინისტროში შემუშავდა პროექტი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №126/ნ ბრძანებაში ცვლილებების შესახებ: „თუ სკოლაში შესაბამის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნის/საგნებისათვის გათვალისწინებული საგაკვეთილო საათების რაოდენობა ნაკლებია, დანამატის სრული ოდენობის მისაღებად საჭირო საგაკვეთილო საათების რაოდენობაზე, მასწავლებელს დანამატი უნდა მიეცეს სრულად“. მინისტრების ცვლილებების გამო, გადაწყვეტილების მიღება დროში გაიწელა და ეს საკითხი შეჩერდა. ჩვენ არაერთგზის შევახსენეთ მინისტრებს და მოვითხოვეთ შესაბამის ნორმატიულ აქტში ცვლილების განხორციელება.

ზემოაღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ხშირად მოგვმართავენ საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერების საგნის მასწავლებლები, რომელთაც სამართლიანი პროტესტი და გულისტკივილი აქვთ.

იმედი გვაქვს, პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრება უახლოეს მომავალში, რისთვისაც საქართველოს მეცნიერთა და პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირი ძალას არ დაიშურებს

.

ანანო ფანჩულიძე, გიორგი ნანობაშვილი
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტები

ზოგადი განათლება

სამინისტრომ საჯარო სკოლის დირეტორობის მსურველებისთვის კონკურსი დაიწყო

ლალი ჯელაძე

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ საჯარო სკოლის დირეტორობის მსურველებისთვის კონკურსი გამოაცხადა. ამ თემაზე მინისტრის მოადგილემ, **ეკა დგებუაძემ** ბრიფინგი გამართა.

სერტიფიცირების მსურველებისთვის ელექტრონული რეგისტრაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ვებგვერდზე www.directors.mes.gov.ge 3 თებერვალს დაიწყება და 17 თებერვალს დასრულდება.

ეკა დგებუაძემ განმარტა, რომ სერტიფიცირების შედეგად, ჯანსაღი კონკურენციის პირობებში, მაღალკვალიფიციური და ღირსეული კადრების მოზიდვა იგეგმება: *„დირექტორობის მსურველთა შერჩევის პროცესში სამინისტროს ამოცანას წარმოადგენს როგორც კონკურსის გამჭვირვალედ, კვალიფიციურად და მიუკერძოებლად ორგანიზება, ასევე, კონკურენტებისთვის კეთილგანწყობილი და თანაბარი პირობების შექმნა.“*

კონკურსში მონაწილეობის მიღებას შეძლებენ უმაღლესი განათლების მქონე პირები, რომლებსაც მუშაობის, არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება აქვთ, აქედან განათლების სფეროში სწავლების, მინიმუმ, ერთწლიანი სტაჟი.

რაც შეეხება სერტიფიცირების პროცესს, ორი ნაწილისგან შედგება – ტესტირება და გასაუბრება. ტესტირების პროგრამა რამდენიმე მიმართულებას მოიცავს – საკანონმდებლო ბაზა, სასწავლო პროცესის ორგანიზება, მონიტორინგი და შეფასება, სკოლის ადამიანური რესურსის მართვა, ეფექტური კომუნიკაციისა და მოტივაციის მეთოდები, მშობლებთან მუშაობა და ანგარიშვალდებულება, ლოგიკური მსჯელობა და ინფორმაციის ანალიზი და სხვ.

როგორც მინისტრის მოადგილემ განაცხადა, ტესტირება ელექტრონული ფორმატით ჩატარდება და კონკურსანტის კომპეტენცია და უნარები წარმატებით დაძლეულად ჩაითვლება ტექსტის მაქსიმალურ ქულათა 60%-ის დაგროვების შემთხვევაში. *„შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციას კონკურსანტი ტესტის დასრულებისთანავე მიიღებს და თუ ის დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს გადალახავს, საშუალება მიეცემა, გადავიდეს გასაუბრების მეორე ეტაპზე.“*

გასაუბრების ეტაპის შესახებ ინფორმაციას აპლიკანტები ტესტირების პროცესის დასრულების შემდეგ შეიტყობენ, ოფიციალურად, ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით. რაც შეეხება იმას, თუ ვინ ჩაატარებს გასაუბრებას, ეკა დგებუაძემ განაცხადა, რომ დაკომპლექტდება ჯგუფები (კომისია), რომლებიც ტესტირების ეტაპის წარმატებით გავლილ კანდიდატებს ჩაუტარებენ გასაუბრებას: *„სერტიფიცირების ორივე ეტაპის წარმატებით დასრულების შემდეგ, დირექტორობის მსურველს გადაეცემა დირექტორობის უფლების დამადასტურებელი სერტიფიკატი და მას ექნება უფლება, გადავიდეს კონკურსის მეორე ეტაპზე, რომელიც სკოლაში მათი კანდიდატების წარდგენასა და ახალი დირექტორის შერჩევის პროცესს გულისხმობს. ასევე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ სერტიფიცირებული დირექტორებისთვის, ასევე ვგეგმავთ სატრენინგო პროგრამის გავლას, სანამ ისინი თავიანთ კანდიდატურას სკოლაში ასარჩევად წარადგენენ.“*

ტესტირების ჩატარებამდე სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე წინასწარ განთავსდება ტესტირების ჩატარების განრიგი, ინფორმაცია სტრუქტურის შესახებ – დავალებათა ტიპები და რაოდენობა, ასევე, მოსამზადებლად საჭირო ლიტერატურის ნუსხა.

რაც შეეხება მოქმედ დირექტორებს, მინისტრის მოადგილემ განმარტა, რომ: *„ამ ეტაპზე ჩვენ კონკურსს კონკრეტულ სკოლებთან მიმართებაში არ ვაცხადებთ, ცხადდება კონკურსი სერტიფიცირებისთვის, რომელშიც დირექტორობის მსურველი ადამიანები მიიღებენ მონაწილეობას. როდესაც უკვე განათლების სამინისტრო გამოაცხადებს დირექტორობაზე კონკურსს, ამ შემთხვევაში, დაიდება ინფორმაცია, თუ რამდენ სკოლაში მოხდება დირექტორობის კანდიდატების წარდგენა. დღეს სისტემაში დასაქმებული არიან სკოლის ის დირექტორები, რომლებსაც აქვთ სერტიფიკატი და ამ ადამიანებისთვის არ არის განსაზღვრული სერტიფიცირების ეს პროცესი, რადგან მათ უკვე აქვთ მოპოვებული სერტიფიკატი.“* თუმცა, სისტემას, მოქმედი სერტიფიცირებული დირექტორების გარდა, ჰყავს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლები, რომელთა შორის არიან როგორც სერტიფიცირებული, ისე არასერტიფიცირებული კადრები. კითხვაზე – **ვალდებული არიან თუ არა დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი არასერტიფიცირებული კადრები მონაწილეობა მიიღონ გამოცხადებულ სერტიფიცირების პროცესში?** ეკა დგებუაძე გვპასუხობს, რომ დირექტორობის მოვალოების შემსრულებელი ადამიანები, რომლებსაც არ აქვთ შესაბამისი სერტიფიკატი, ვალდებული არიან ჩაერთონ პროცესში. სერტიფიცირების გავლის შემთხვევაში კი, ისინი ავტომატურად, დროებით, რჩებიან დირექტორის პოზიციაზე.

ბრიფინგზე ცნობილი გახდა, ასევე, რომ დიდი ხნის ლოდინის შემდეგ დამტკიცდა დირექტორის ახალი სტანდარტი, რომელიც უახლოეს პერიოდში გამოქვეყნდება. **რა მოთხოვნებს დააყენებს დირექტორების წინაშე ახალი სტანდარტი და რას შეცვლის ის რეალურად?** ეკა დგებუაძე ამბობს, რომ: *„სტანდარტში აღვწერთ სწორედ იმ პროცესებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დირექტორმა იცოდეს სასწავლო პროცესის მართვის დროს. რეალურად კი, ახალი სტანდარტი შეცვლის მიდგომას და მენეჯმენტს, ზოგადად, სკოლასთან და მოსწავლესთან მიმართებაში, უფრო ჰუმანური და ბავშვზე ორიენტირებული იქნება“.*

რა ბედი ეწევა მოქმედ დირექტორს, რომელიც ახალი სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს ვერ დააკმაყოფილებს? იგეგმება თუ არა მათი ხელახალი სერტიფიცირება? სამინისტროში აცხადებენ, რომ მოქმედ დირექტორებს ამის ვალდებულება არ აქვთ, თუმცა, იმისთვის, რომ მათი ცოდნა ახალ სტანდარტთან შესაბამისობაში მოვიდეს, გარკვეული ტიპის გადამზადებასა და ტესტირებას გეგმავენ. *„სტანდარტი მოქმედი და გამოცდილი დირექტორების ჩართულობით შევიმუშავეთ, რადგან მათ ძალიან კარგად იციან, თუ რა ღირებულებები და მნიშვნელოვანი კომპონენტები უნდა იყოს გათვალისწინებული – რა ცოდნას უნდა ფლობდეს დირექტორი. მათ ძალიან ბევრი კვალიფიციური სატრენინგო მოდული აქვთ გავლილი და ბევრ საჭირო ინფორმაციას ფლობენ.“*

ინფორმაცია

სასტიპენდიო პროგრამები საზღვარგარეთ სწავლის მსურველი საქართველოს მოქალაქეებისთვის

3 თებერვალს, განათლების საერთაშორისო ცენტრმა, პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან – საქართველოში იტალიის საელჩოს, საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა და ფრანგულ ინსტიტუტთან ერთად, 2020-2021 სასწავლო წლისათვის, ექვსი სასტიპენდიო პროგრამა გამოაცხადა. ეს პროგრამებია:

- საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები;
- საერთაშორისო სადოქტორო პროგრამები;
- საერთაშორისო სახელოვნებო აკადემიური პროგრამები;
- საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა;
- სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში;
- აკადემიური პროგრამები იტალიაში.

ღონისძიებაზე, განათლების საერთაშორისო ცენტრის დირექტორმა, **ნინო ჭელიძემ**, საზოგადოებას პროგრამებით გათვალისწინებული გეგმების, ვადებისა და პროცედურების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

პროგრამები ითვალისწინებს როგორც სწავლის საფასურის, ასევე ცხოვრებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებას. სასტიპენდიო პროგრამები კარგი შესაძლებლობაა საქართველოს მოქალაქეებისთვის, რათა სწავლა გააგრძელონ და აკადემიური ხარისხი მოიპოვონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო უმაღლეს სასწავლებლებში.

ყოველწლიურად, სასტიპენდიო პროგრამებით განათლების საერთაშორისო ცენტრი, დაახლოებით, 200-მდე ქართველ სტუდენტს აფინანსებს.

ექვსივე პროგრამის ელექტრონული განაცხადების მიღება ცენტრის ვებგვერდზე 3 თებერვალს დაიწყო – www.iec.gov.ge.

განათლების საერთაშორისო ცენტრი 2014 წელს დაარსდა და, დაარსებიდან დღემდე, 850-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გასცა საზღვარგარეთ სწავლის მსურველი საქართველოს მოქალაქეებისთვის. მათმა ნაწილმა უკვე დაასრულა საზღვარგარეთ სწავლა, დაბრუნდა ქვეყანაში და მიღებული ცოდნის რეალიზებას საკუთარ ქვეყანაში განაგრძობს.

ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, **ეკატერინე დგებუაძემ** თბილისის №202 უსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლეებს ბრაილის შრიფტით აწყობილი და რელიეფური ნახატებით დაბეჭდილი ახალი გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები გადასცა.

227 442 ლარის ღირებულების, ბრაილის შრიფტით აწყობილი და 15 რელიეფური ნახატებით დაბეჭდილი, 186 სასკოლო სახელმძღვანელოს ადაპტირება სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ უზრუნველყო.

სკოლის მოსწავლეთა სოციალური ადაპტაციისა და საზოგადოებრივ საქმიანობებში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის ჩართული სპეცპედაგოგი, ასევე ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, მობილობის ტრენერი და ფსიქოლოგი.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ყველა მოსწავლისთვის საგანმანათლებლო რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მათთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნა. ამ მიმართულებით, სამინისტრო, ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა ქვეპროგრამას ახორციელებს.

უსინათლო და მცირემხედველი მოსწავლეები მონაწილეობენ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში და ერთიან ეროვნულ გამოცდებს, ყოველწლიურად, წარმატებით აბარებენ. მათთვის საგამოცდო მასალაც ბრაილისა და მსხვილ შრიფტზეა ადაპტირებული.

Webster University საქართველოში შემოდის

წამყვანი ამერიკული უნივერსიტეტი, საერთაშორისო განათლების ლიდერი – ვებსტერი (Webster University), რეგიონში პირველ კამპუსს საქართველოში, „სილიკონ ველი თბილისის“ ტერიტორიაზე გახსნის, სადაც ქვეყნის ყველაზე სწრაფად მზარდი და ინოვაციური უმაღლესი სასწავლო დაწესებულება – ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (BTU) მდებარეობს.

ვებსტერის კამპუსები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის – ჰოლანდიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, საბერძნეთში მდებარეობს.

ვებსტერის უნივერსიტეტის რეგიონში შემოსვლა ახალგაზრდებს მისცემს შესაძლებლობას, 2021 წლიდან, ამერიკული განათლება და დიპლომი საქართველოში, ქვეყნის დატოვების გარეშე, მიიღონ.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ინოვაციური პროგრამები და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გადამზადების პროგრამა, მაღალი ხარისხი და მნიშვნელოვანი პარტნიორები, ძლიერი ტექნოლოგიური ბაზა, მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიები, შექმნილი ეკოსისტემა – ეს იმ მიზეზების ნაწილია, რის გამოც ამერიკულმა უნივერსიტეტმა არჩევანი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტსა და „სილიკონ ველი თბილისზე“ გააკეთა.

ვებსტერის უნივერსიტეტი, 2000-მდე კვადრატული მეტრის ფართობზე, „სილიკონ ველი თბილისის“ ტერიტორიაზე განთავსდება, სადაც ლაბორატორიები, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და სამუშაო სივრცეები მოეწყობა.

ფორბსის უნივერსიტეტების 2019 წლის ტოპ რეიტინგში შესული ვებსტერის უნივერსიტეტი, დაარსების დღიდან, 1915 წლიდან, ლიდერობს და დღეს ფლობს კამპუსებს ჩრდილოეთ ამერიკის, ევროპის, აზიისა და აფრიკის კონტინენტებზე.

2018 წელს, საზღვარგარეთ განხორციელებული პროგრამებით, ვებსტერი აშშ-ს №4 სასწავლებელი გახდა „ამერიკის საუკეთესო უნივერსიტეტების“ რეიტინგში, სადაც აშშ-ს 1500 სასწავლებლიდან მხოლოდ 44 მოხვდა.

ვებსტერის რეპუტაციას განაპირობებს მრავალი გავლენიანი სარეიტინგო სისტემების მიერ, მისი, როგორც აშშ-ს ერთ-ერთი საუკეთესო სასწავლების, წარმოჩენა, ესენია: Washington Monthly, College NET, National Council for Accreditation of Teacher Education (NCATE), College Choice, AccreditedSchoolsOnline.org, Military Times და სხვ.

სასკოლო აქტივობა

პროექტი „ახალი სკოლის მოდელი“ და ჩვენი სკოლა

ქალაქ ქუთაისის №32 საჯარო სკოლა, ტრადიციულად, პასუხობს საგანმანათლებლო ამოცანას – მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისა და მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით გამსჭვალული თაობის ჩამოყალიბება-ფორმირების შესახებ.

სკოლის მრავალწლიანი გამოცდილება და განვლილი გზა კვლავაც გვავალდებულებს, პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ყოველ ახალ საგანმანათლებლო გამოწვევას და ჩვენი მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანოთ მომავალი თაობის განათლების საქმეში.

პროექტ „ახალი სკოლის მოდელის“ პროგრამამ თავიდანვე პრიორიტეტებად განსაზღვრა სასკოლო კულტურის განვითარება, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერება. ასევე კონსტრუქტივისტული პარადიგმის ხუთმა საგანმანათლებლო პრინციპმა განსაზღვრა სწავლა-სწავლების მიმართულებები: შინაგანი ძალების გააქტიურება, ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება, ცოდნათა ურთიერთკავშირის ორგანიზება, სწავლის სტრატეგიების დაუფლება, სწავლა-სწავლება სამივე კატეგორიით – დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული.

აქედან გამომდინარე, **საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებული სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება და დანერგვა, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში, სკოლის მართვის ეფექტიანი მიდგომების განვითარება, წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობი შეფასების სისტემის შექმნაა.**

შესაბამისად, ჩვენც მიზნად დავისახეთ სამი მიმართულებით გვემოქმედა:

- სკოლამ, სასკოლო საზოგადოებამ უზრუნველყოს სკოლის მდგრადი განვითარება; შექმნას მიმზიდველი სოციოკულტურული სივრცე; განავითაროს ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული სასკოლო სასწავლო გეგმა, ანუ კურიკულუმი;
- კლასს ექნეს თვითეფექტიანობის მაღალი განცდა; კლასებში მიმდინარეობდეს გააზრებული სწავლა-სწავლება, რაც ორგანიზებული ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს;
- მოსწავლეს გაუჩნდეს თვითეფექტიანობის მაღალი განცდა; ღია იყოს გამოწვევების მისაღებად; ჩამოუყალიბდეს სწავლის ძლიერი მოტივაცია; განავითაროს საკუთარი შესაძლებლობები.

ჩვენი სკოლა, როგორც აღვნიშნეთ, ტრადიციებისა და ინოვაციების შერწყმის თვალსაზრისით, გამორჩეული სკოლაა. „ახალი სკოლის მოდელმა“ კი ახალი მიზანდასახულება შესძინა ჩვენს სასწავლო პროცესს და დღეს შეგვიძლია კონკრეტულად ვისაუბროთ იმ ცვლილებებსა და სასიკეთო შედეგებზე, რომლებსაც თვალნათლივ ვხედავთ.

უპირველესად, იმ დადებითი ტენდენციის დანერგვაზე უნდა გავამახვილო ყურადღება, რასაც სკოლაში განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მოვლენილი **მხარდამჭერთა გუნდის** მუშაობა ჰქვია. გუნდის ყველა წევრი ითავისებს დაკისრებულ დიდ პასუხისმგებლობას და კეთილსინდისიერად ეკიდება მოვალეობას. მათი ქმედება მიმართულია ზემოთ აღნიშნული საგანმანათლებლო ამოცანების გადაწყვეტისაკენ და ეტაპობრივად, თანმიმდევრულად სასკოლო კურიკულუმის მდგრადი ამოქმედებისაკენ.

2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრში, ამ კუთხით, სკოლის დირექციამ და საბაზო საფეხურის პედაგოგებმა, ლიდერქოუჩ **მაია მამისეიშვილთან** ერთად, წარმატებულად განახორციელეს დაგეგმილი პროექტები, რომლებიც ერთგვარად ამზადებს ნიადაგს დაწყებითი საფეხურისა და სხვა საფეხურების დასაკავშირებლად.

წინა სემესტრშივე, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა, კურიკულუმის დანერგვის ექსპერტ **ბელა დურგლიშვილთან** ერთად, ინტენსიური საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრებითა და ყველა საგანში მატრიცების შედგენა-დამუშავებით, მოამზადეს მნიშვნელოვანი ბაზა სასკოლო კურიკულუმის პირველი ფაზისა და კომპლექსური დავალებების ბანკის შესაქმნელად. ექსპერტის თანამშრომლობა მასწავლებლებთან შემდეგი მიმართულებებით წარიმართა: მიზნის მხედველობის არიდან დაკარგვის ნაცვლად, როგორ უნდა გაათავისებინონ მასწავლებლებმა მოსწავლეებს სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები; როგორ დაასმევინონ აქცენტი მოსწავლეებს, დამახსოვრების ნაცვლად, გააზრებაზე; როგორ დაამუშავებინონ კომპლექსური დავალება, თემის კონტექსტის, საკვანძო შეკითხვისა და მატრიცაში განსაზღვრული სხვა მნიშვნელოვანი რუბრიკების მეშვეობით; როგორ აქციონ ინიციატივა და შემოქმედებითობა პრიორიტეტად სასკოლო კურიკულუმის განვითარებით.

ასევე, ამავე პროცესში, მასწავლებელთა მიერ მომზადდა ციფრული ტექნოლოგიით გამართული კომპლექსური დავალებები, რაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ტექნოლოგიის ექსპერტ **პაატა გულუასთან** თანამშრომლობამ. მის მიერ, დაწყებით და საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან ერთად, ქოუჩინგის ფარგლებში, დაგეგმილი შეხვედრები სისტემატურად მიმდინარეობს.

მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისიდან „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერთა გუნდს ახალი წევრი – კურიკულუმის დანერგვის ექსპერტის ასისტენტი **მაია ჩაკვეტაძე** დაემატა, რომელიც ინტენსიურად ახორციელებს თავის მოვალეობას, კურიკულუმის ექსპერტთან ერთად.

გასული სასწავლო წლის ბოლოს, სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მუშაობით, მიღწეული იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი და ხელშესახები შედეგი: ამაღლდა და განვითარდა საფეხურის მასწავლებელთა სასკოლო თანამშრომლობის კულტურა, მათი ერთმანეთისადმი საქმიანი დამოკიდებულება ერთობლივ მატრიცებზე მუშაობის პროცესში, რაც, საბოლოოდ, წაადგა სასკოლო კურიკულუმის შექმნისა და ჩამოყალიბების საქმეს.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა ძალისხმევით, ამაღლდა **მშობელთა ინფორმირებულობის** დონე. მათ უკვე გაიაზრეს და გაითავისეს „ახალი სკოლის მოდელის“ მოთხოვნები და მიზნები. მასწავლებელთა დახმარებით, გაანალიზეს ის მნიშვნელოვანი გრძელვადიანი შედეგები, რომლებიც დადგება მათი შვილების სწავლა-სწავლების პროცესში და სასიხარულოა, რომ ისინი მხარს უჭერენ ამ საინტერესო და პოზიტიურ სიახლეს.

2019-2020 სასწავლო წლის პირველი სემესტრის დასაწყისიდანვე, პედაგოგები მუხლჩაუხრელად შრომობენ და ცდილობენ „ახალი სკოლის მოდელის“ მდგრადი ატმოსფერო გაცნობიერებულად დაამკვიდრონ საკლასო ოთახებში.

წინა წლებში ჯიპრაიდის პროექტში მონაწილე პედაგოგებისათვის მრავალფეროვანი და სახალისო აქტივობები უცხო სულაც არ იყო, მაგრამ ამჯერად ორიენტირი არა აქტივობები, არამედ კომპლექსური დავალება – პროდუქტია, რომელიც სხვადასხვა ფორმით უკვე ამშვენებს საკლასო ოთახების კარადებს, კედლებს, სასწავლო მაგიდებსა და კუთხეებს.



საკლასო ოთახების კედლებზე თვალსაჩინოდ იკვეთება სხვადასხვა საგნობრივი მატრიცების მთავარი სამიზნე ცნებები, კომპლექსური დავალებების ბანკის გამოფენები და სალარო-ზარდახშებიც კი. ეს ვიზუალური საგამოფენო მასალა უკვე არა მხოლოდ ოთახების სივრცეებს ამშვენებს, არამედ მოსწავლეთა ცნობიერებისა და ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდება. სწორედ ესაა ყველაზე მთავარი და აღსანიშნავი: რას გრძნობს მოსწავლე, როგორ ვითარდება, ეცემა თუ არა პასუხი მის შეკითხვებს, კმაყოფილდება თუ არა მისი ინტერესები და ხდება თუ არა მაძიებელი და მკვლევარი, ინტერპრეტატორი და შემოქმედებითი, რეალისტი და ტრანსფერული უნარების მქონე... ამ და კიდევ ბევრ სხვა ინტერესთა სფეროში მოგზაურობს „ახალი სკოლის მოდელის“ მონაწილე ყოველი მოზარდი სხვადასხვა საგნის მიხედვით და აღწერს თავის თავგადასავალს, სვამს კითხვებს და პასუხსაც სცემს, აფასებს, აანალიზებს და დასკვნებიც გამოაქვს, რაც პირდაპირი გზავნილია იმის სამაუწყებლოდ, როგორ **ამოქმედდა მისი „შინაგანი საამქროები“**, რამდენად **ეფექტიანი** გახდა თავად.

რაც ყველაზე უფრო სასიხარულოა, თვალსაჩინოა, როგორ ინტეგრირდება ამ საოცრად მხიარულ, ხალისიან და ფერად სამყაროში შემოსული სპეციალური საჭიროების მქონე ჩვენი ყველა მოსწავლე და როგორ ქმნის კომპლექსურ დავალებას – პროდუქტს, რომელზეც თავადვე საუბრობს.

თანდათან ჩვენს სკოლაში ინერგება პრაქტიკა – ახალი საგნობრივი საკითხის შესწავლამდე თითოეულმა **მოსწავლემ ზუსტად იცოდეს, თუ რა კომპლექსურ დავალებას შექმნის** მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მასალის შესწავლის საფუძველზე. ხოლო როცა კლასის წინაშე თავის შექმნილ კომპლექსურ დავალებას წარმოადგენს, ჰქონდეს წარმატებულობისა და ბედნიერების განცდა, რომ მისი ნააზრევი საინტერესო და მნიშვნელოვანია.

სასიხარულოა ასევე, რომ **მასწავლებლები, მატრიცების შექმნით, სასწავლო პროცესს გეგმავენ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით,** თემების საშუალებით და ცდილობენ განსაზღვრონ, თუ რა კომპლექსური დავალების შესრულება მართებთ მოსწავლეებს და მხოლოდ ამის შემდეგ გეგმავენ საკლასო აქტივობებს.

საბოლოო შედეგი კი **სასკოლო კურიკულუმია,** რომელიც სკოლის თითოეული წევრის ორიგინალური შემოქმედებითი პროდუქტია და, ამავე დროს, **სკოლის უნიკალურობასა და ინდივიდუალურ სახეს** წარმოაჩენს. „ახალი სკოლის მოდელის“ მონაწილე თითოეულმა მასწავლებელმა ხომ თავისი წვლილი შეიტანა, ინტენსიური თანამშრომლობით, სასკოლო კურიკულუმის შევსება-განვითარების მიმართულებით.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, ფაქტობრივად, ხორცი შეასხა იმ იდეას, რომელსაც საგაკვეთილო სივრცეში თავისუფალი მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობა ჰქვია კონსტრუქტივისტული პრინციპების საფუძველზე. ამიტომ, ჩვენი სკოლა სწორედ ამ რგოლს მოიაზრებს უმთავრეს მხარდამჭერად და მეგობრად. მით უფრო, რომ სკოლაში ეტაპობრივად **გვსტუმრობენ პროექტის ხელმძღვანელები,** გვაკვალიანებენ და გვეხმარებიან.

ამის დასტურია თუნდაც ის კვლევაც, რომელიც სკოლებს საკუთარი პროფილის ჩამოყალიბებაში ეხმარება და რეალურად აფასებს მოსწავლეთა დაწყებითი საფეხურის აკადემიური შედეგების ძლიერ და სუსტ მხარეებს. ვფიქრობთ, მომავალი სასწავლო წლისათვის, ჩვენი სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგთა შრომა „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, მოსწავლეების კიდევ უფრო დიდი წარმატების სანინდარი გახდება.

არ შეიძლება, არ აღინიშნოს ასევე ინტეგრირებული საგაკვეთილო პრაქტიკის გააქტიურების აუცილებლობისა და პრიორიტეტული თემატიკის მატრიცებში გაწერისა და განხორციელების საკითხები, რაც ჩვენი მუშაობის ახალი ფაზაა და ვფიქრობთ, მხარდამჭერთა გუნდის ძალისხმევით წარმატებულად განხორციელდება.

მე და ჩვენს სასკოლო გუნდს მიგვაჩნია, რომ „ახალი სკოლის მოდელის“ რეალური ძალა და შედეგები თანდათან უფრო და უფრო წარმოჩნდება... წინ კიდევ ბევრი საინტერესო გამოწვევაა, ამ მოდელის მიმართულებით. ის საინტერესო სტარტი, რომელიც ქვეყნის განათლების სისტემამ ამ თვალსაზრისით აიღო, უსათუოდ გამოიღებს თავის უმნიშვნელოვანეს ნაყოფს.

ჯეირან კოლუაშვილი
სსიპ ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის №32 საჯარო სკოლის დირექტორი

სასკოლო აქტივობა

სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამა, როგორც სკოლის განვითარების კონცეფცია

ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია შეიმუშაოს საკუთარი სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას. სასკოლო სასწავლო გეგმის ერთ-ერთი დანიშნულებაა სასკოლო-სასწავლო ღონისძიებების დაგეგმვა.

სასკოლო-საგანმანათლებლო ღონისძიებებისა და სკოლის სამოქმედო გეგმის შედგენისას აუცილებელი და მნიშვნელოვანია სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინება.

2019-2020 სასწავლო წლის დასაწყისში, სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლაში, სამი მენტორი პედაგოგის – **ლუიზა ლომჯარიას**, **მაია ლომიშვილის**, **თამარ კალაძის** სკოლის დირექციასთან თანამშრომლობით, ჩატარდა სკოლის საჭიროებების, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესების კვლევა. აღსანიშნავია, რომ ჩვენი სკოლის მენტორ პედაგოგს, ქალბატონ ლუიზა ლომჯარიას, რომელიც 40 წელზე მეტია ერთგულად ემსახურება მომავალი თაობის აღზრდის უკეთილშობილეს საქმეს, მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება. მასწავლებლის პროფესიისა და საქმიანობის დაფასება უფრო მეტ სტიმულს მატებს ყველა პედაგოგს. ქალბატონმა ლუიზამ ჩვეული გულმოდგინებით უხელმძღვანელა სამეცნიერო და პრაქტიკული კვლევის ყველა ეტაპს.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით და საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებთან კოორდინაციით, გამოიკვეთა სკოლის მთავარი გამოწვევა, გამოიკვეთა სფერო, რომელიც მოითხოვდა ორგანიზებულ მუშაობას აქტუალური საკითხების გადასაწყვეტად. მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. სკოლამ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რომლის მთავარი მიზანი გახდა სოციალური ფორმატით წარმოდგენილი ნებისმიერი სახის ურთიერთობის გაჯანსაღება, მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება.

ასე შეიქმნა საგანმანათლებლო-შემოქმედებითი პროგრამა სახელწოდებით: „სოციალური ურთიერთობებისა და სამოქალაქო განათლების ფორუმი.“ ფორუმის სიმბოლოდ შევარჩიეთ სკოლის ლოგო და ანტიკური ხელოვნებიდან რომის ფორუმის ვიზუალური გამოსახულება, როგორც კავშირი ცნობიერების განვითარების უწყვეტი პროცესისა, ანტიკური პერიოდიდან დაწყებული თანამედროვეობის მოთხოვნების გათვალისწინებით და მომავალზე ორიენტირებული გეგმებით. სწორედ ამ მიზნის გარშემო გაერთიანდა მთელი სკოლა, ყველა კათედრა. საგნობრივი პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით, მთავარი ფუნქცია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ იტვირთა, ხოლო ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, გამჭოლი კომპეტენციების დაუფლების გათვალისწინებით, ყველა კათედრა აქტიურად ჩაერთო, რადგან საგანთაშორისი კავშირების დამყარება, ცოდნისა და გამოცდილების სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადატანა, სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციის განვითარება ყველა საგნის სტანდარტის სწავლა-სწავლების უმთავრესი მიზანია.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა სხვადასხვა ტიპის ღონისძიება, სასწავლო პროექტი, ჩატარდა კონფერენციები და თემატური შეხვედრები ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციებთან.

ფორუმის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები შეიძლება დავყოთ ორ მთავარ ჯგუფად:

1. ტრენინგები და სემინარები მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის;

2. მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტები და ღონისძიებები;

3. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ტრენინგები და სემინარები წარიმართა 3 მიმართულებით:

პირველი: სემინარი პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის
თემა: „ბავშვის უფლება-მოვალეობები, პრობლემები და გადაჭრის გზები“
პარტნიორი ორგანიზაცია – საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა დეპარტამენტი (ხელმძღვანელი – **მაია გედევანიშვილი**).

ქალბატონი მაია შეხვდა სკოლის თვითმმართველებს და ესაუბრა ისეთ თემებზე, როგორიცაა ბავშვის უფლებათა კონვენცია, ბავშვის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების მონიტორინგი, დარღვევებზე რეაგირების საშუალებები და რეკომენდაციები.

სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა დეპარტამენტმა სკოლას უსახსოვრა საინტერესო ლიტერატურა. კლასის თვითმმართველებმა, სემინარზე მიღებული ცოდნის, ინფორმაციისა და ლიტერატურის შესახებ მეგობრებისა და თანაკლასელების ინფორმირების ვალდებულება იკისრეს. ეს პროცესი დაწყებულია და გაგრძელდება, რათა ყოველი კონკრეტული შეხვედრის თემა ცნობილი გახდეს ყველა მოსწავლისთვის.

მეორე: ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამა

რაც შეეხება სკოლაში ინკლუზიური განათლების ეფექტურ დანერგვას, ამ მიმართულებით ჩვენ ვიღებთ ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას, დამხმარე მასალებსა და რეკომენდაციებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ზოგადი განათლების დეპარტამენტიდან, ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან. რეკომენდაციები ეხება ისეთ სტრატეგიულ პრიორიტეტებს, როგორებიცაა ინკლუზიური განათლების სისტემური გაძლიერება, ინკლუზიური განათლების მიდგომების მეთოდოლოგიისა და მომსახურების განვითარება, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სიახლე გვაქვს. სკოლაში გაიხსნა ახალი რესურსოთახი, შესაბამისი ინვენტარითა და საჭირო სასწავლო რესურსით. აქვეა ჩვენი მოსწავლეების მიერ შესრულებული ნამუშევრების გამოფენა.

№51 სკოლა, მემორანდუმის ფარგლებში, თანამშრომლობს ორგანიზაციასთან MAG GEORGIA (ხელმძღვანელი – **მაია ბაგრატიონი**). დავიწყეთ ტრენინგების საინტერესო კურსი დიფერენცირებული სწავლებისა და ინკლუზიური განათლების შესახებ, რომელიც განსაკუთრებულად მოეწონათ ჩვენს პედაგოგებს.

მესამე: ტრენინგები მშობლებისა და მასწავლებლებისთვის
თემა: „სკოლებში მშობელთა ჩართულობის გაზრდა“
პარტნიორი ორგანიზაცია – „მშობლები განათლებისთვის“ (ხელმძღვანელი – **მეგი კავთუაშვილი**).

ტრენინგებზე ინტერაქტიულ რეჟიმში მიმდინარეობდა მსჯელობა, ისეთი საკითხების განხილვა, როგორებიცაა: მშობელთა ჩართულობის მექანიზმები და საუკეთესო პრაქტიკა, მოხალისეობა შვილის სკოლაში, ეფექტური კომუნიკაცია ყველა ტიპის პერსონასთან და სხვა.

სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, სოციალური ურთიერთობების პრინციპების შესწავლა აქტიურად მიმდინარეობს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჯგუფის საგნების მიხედვით. ეს ძალიან საინტერესო პროცესი იწყება მე-4 კლასიდან, საგნით „მე და საზოგადოება“. საგანმანათლებლო-შემოქმედებითი ფორუმის ფარგლებში, მე-4 კლასის მოსწავლეებმა პედაგოგ **გვანცა მეტრეველთან** ერთად განახორციელეს პროექტი „მინი-მუზეუმი სკოლაში“. პროექტის ფარგლებში მოსწავლეები ესტუმრნენ სხვადასხვა მუზეუმს, თავად დაამზადეს ექსპონატებისა და ხელოვნების ნიმუშების ასლები, მოაწყვეს სასკოლო გამოფენა, მოირგეს გიდის როლი და უმასპინძლეს დამთვალიერებლებს.

მე-5 და მე-6 კლასებში ისწავლება საგანი – ჩემი საქართველო. ამ საგნის სახელმძღვანელოს მასწავლებლის წიგნისა და მოსწავლის რვეულის ავტორია №51 საჯარო სკოლის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი **ანა კუპრავა-გოგოლაძე**. პედაგოგმა მე-6 კლასის მოსწავლეებს შორის ჩაატარა კონკურსი „იცოდე კანონი და იყავი დაცული“. კონკურსის მიზანი იყო მოსწავლეები გაცნობოდნენ საქართველოს კანონმდებლობის ზოგიერთ, მათი ასაკისთვის აქტუალურ საკითხებს, მიესადაგებინათ კონკრეტული მუხლებისთვის რეალური, ცხოვრებისეული სიტუაციები, ემსჯელათ მათ შესახებ და დაეწერათ შესაბამისი რეკომენდაციები. ინტელექტუალური კონკურსი დიდი ინტერესით და აქტიურობით ჩატარდა.

2019-2020 სასწავლო წელს, ეროვნული გეგმის მიხედვით, მე-7 კლასში დაემატა ახალი საგანი – „მოქალაქეობა“. ამ საგნის წარმატებით დანერგვის მიზნით, სკოლაში მოვიწვიეთ სახელმძღვანელოს ავტორი **ეკა სიმსივე**. ქალბატონმა ეკამ ჩაატარა მასტერკლასები პედაგოგებისთვის და შეხვედრები მე-7 კლასის მოსწავლეებთან. ჩვენს სკოლაში არსებობს ტრადიცია – ბავშვები ხშირად ხვდებიან სხვადასხვა საგნის სახელმძღვანელოს ავტორებს, რაც მათთვის განსაკუთრებით საინტერესო და სტიმულის მიმცემია.

ფორუმის ფარგლებში, მე-7 კლასის მოსწავლეებს შორის ჩატარდა ესეების კონკურსი თემაზე: „მე ვარ აქტიური მოქალაქე“. კონკურსის მიზანი იყო გაეცნობიერებინათ მოზარდებს, თუ რას გულისხმობს აქტიური მოქალაქეობა და სამოქალაქო საზოგადოება, გაცნობოდნენ იმ ღირებულებებსა და ფასეულობებს, რომელთა თანახმადაც ყველა ადამიანი თანასწორია ერთმანეთისა და კანონის წინაშე. კონკურსი გამოირჩეოდა მოსწავლეთა მაღალი ჩართულობით.

„სოციალური ურთიერთობებისა და სამოქალაქო განათლების ფორუმის“ ფარგლებში ჩატარდა საბაზო საფეხურის მოსწავლეთა კონფერენცია თემაზე „მოქალაქეობა, არსებული რეალობა და ჩემი აქტიურობა პოზიტიური გარემოს დამკვიდრებისთვის“, ხოლო საშუალო საფეხურის მოსწავლეთა კონფერენცია – თემაზე „მე და კონსტიტუცია“. მოსწავლეები წინასწარ გაეცნენ თემის ორიენტირს, შეფასების კრიტერიუმებს, ნაშრომის სტრუქტურას, პრეზენტაციის მოთხოვნებს და დამაჯერებლად წარსდგნენ სპეციალური ჟიურის წინაშე. მოსწავლეებმა, თეორიულ საკითხებთან ერთად, ისაუბრეს პრაქტიკულ აქტივობებზეც, რომლებიც განახორციელეს პოზიტიური გარემოს დამკვიდრებისთვის. კერძოდ, წარმოადგინეს ვიდეორგოლი, რომელშიც ასახულია, თუ როგორი სიყვარულითა და თანაგრძნობით ეპყრობიან ბავშვები სკოლის თანამშრომლებს, დამლაგებლებს. როგორ ულოცავენ ისინი უფროსებს დამდეგ შობა-ახალ წელს (კლიპის რეჟისორები: **ნიკოლოზ შაბურიშვილი** და **ზიზი ტოგონიძე**).

სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრამ განახორციელა პროექტი „ჯანსაღი ცხოვრების ემოცია“ (კათედრის ხელმძღვანელი – **ლია ბერაძე**). პროექტს პარტნიორობა გაუწია სამედიცინო კორპორაცია „ევექსმა“. პროექტის ფარგლებში, დიდი ენთუზიაზმითა და ხალისით გაიმართა კულინარიული დუელი და მოსწავლეთა მიერ დამზადებული ჰიგიენის დაცვის ბროშურების პრეზენტაცია. ჩვენი ფორუმის ფარგლებში გაიმართა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მიერ ორგანიზებული იმიტირებული სასამართლო და ინტელექტუალური თამაში „ისტორია სამსჯავროზე“. პროექტს პარტნიორობა გაუწია საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა (პროექტის ხელმძღვანელი – ისტორიის პედაგოგი **თამარ ჯავახიშვილი**).

№51 საჯარო სკოლის სახელმწიფო ენის კათედრამ (ხელმძღვანელი – **მაია ჩიხრაძე**), ურთიერთობის უნივერსალურ საშუალებად სამაგიდო თამაშები შეარჩია და მე-9 კლასის გუნდებს შორის წარმატებით ჩაატარა „ვეფხისტყაოსნის“ სამაგიდო თამაშები. შეჯიბრება აზარტული, საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდა ყველასთვის. მოსწავლეებმა შეძლეს ლოგიკური აზროვნებისა და გამჭრიახობის გამოვლენა.

„სოციალური ურთიერთობებისა და სამოქალაქო განათლების ფორუმის“ ფარგლებში, მოსწავლეთა თვითმმართველობამ განახორციელა პროექტი „გაეროს კონფერენციის მოდელირება“. პროექტს მხარდაჭერა გაუწია საქართველოს ახალგაზრდობის ელჩმა გაეროში **თათია დოლიძემ**. პროექტის მიზანი იყო მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა არაფორმალური განათლების მიმართულებით. ჩვენმა სკოლამ, ასწლიანი ისტორიის განმავლობაში, პირველად უმასპინძლა გაეროს მოდელირების კონფერენციას. მოსწავლეები განაწილებულნი იყვნენ ორ კომიტეტში: ბავშვთა უფლებების კომიტეტში, რომელიც განიხილავდა ბავშვების რეინტეგრაციას კონფლიქტურ ქვეყნებში და ადამიანის უფლებების კომიტეტში, რომლის სამუშაო თემა იყო ჟურნალისტების უსაფრთხოება. საკომიტეტო მუშაობის დასრულების შემდეგ მონაწილეებმა დაწერეს რეზოლუციები, მიაღწიეს კონსესუსს, მუშაობის შედეგები კი წარუდგინეს გენერალურ ასამბლეას.

ფორუმის ფარგლებში განხორციელდა სახელოვნებო ინსტალაცია „ფერწერული გალაკტიონი“, ღონისძიების ხელმძღვანელები: №51 სკოლის სააღმზრდელო პროგრამების კოორდინატორი **ნანა ვერულაშვილი** და ესთეტიკური აღზრდის ხელმძღვანელი **სოფიკო ბერაია**. პროექტში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სპეცპედაგოგები და სსსმ მოსწავლეები. მოსწავლეებმა წარადგინეს გალაკტიონის ლექსების ფერწერული ილუსტრაციები; შეასრულეს პოეტის ლექსებზე შექმნილი

სასკოლო აქტივობა

სიმღერები; მხატვრული კითხვის ვირტუალურ შემსრულებელთან, ელდინო საღარაძესთან ერთად წაიკითხეს პოეტის ლექსები. სახელოვნებო ინსტალაციის მონაწილეებმა განახორციელეს საქველმოქმედო აქცია „აჩუქე წიგნი-გააზიარე ემოცია“. ისინი დაეხმარნენ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ თონეთის საჯარო სკოლას წიგნებით, საინტერესო ლიტერატურით. ეს შეხვედრა ემოციურ და საოცრად მეგობრულ ატმოსფეროში წარიმართა.

№51 საჯარო სკოლის სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სემესტრის დასკვნითი ღონისძიება გაიმართა სკოლის საკონფერენციო დარბაზში. ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის წარმომადგენელი, სამოქალაქო განათლების ექსპერტი **შალვა მეკრავიშვილი**, საქართველოს პარლამენტის წევრი **ვლადიმერ კახაძე**, შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერი **რუსუდან თევზაძე**, ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი **თამარ კეშელავა**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი **ჰენრი კუპრაშვილი**, რადიო „საქართველოს ხმის“ დირექტორი **მარიკა ნიკოლოზაშვილი**, №51 სკოლის კურსდამთავრებული, მომღერალი **ნათია სვანაძე** და ჯგუფი „THE QVINTESSENCE“, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოს უფროსი **ალექსანდრე ცინცაძე**, სამმართველოს თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის ცენტრის კოორდინატორი **ნათია ჯიჯიეშვილი**.

პირველი სემესტრის შემაჯამებელ ღონისძიებაზე მოსწავლეებმა და პედაგოგებმა ფორუმის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებსა და აქტივობებზე ისაუბრეს. გაიმართა ევროკავშირის მიერ გადაღებული ვიდეორგოლის პრეზენტაცია, რომელიც დამზადდა ევროკავშირის მიერ ორგანიზებულ, ადამიანის უფლებების ერთკვირიანი კამპანიის ფარგლებში (დაიწყო 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით). წლევანდელი კვირეულის სლოგანი იყო „ახალგაზრდები ადამიანის უფლებების დასაცავად“. ვიდეორგოლის სახელწოდებაა „იცოდე შენი უფლებები“ და მასში მონაწილეობენ ჩვენი სკოლის მოსწავლეები. ვიდეორგოლი ემსახურება საზოგადოებაში ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობასა და ცნობადობის ამაღლებას.

ღონისძიების მონაწილეებმა ინტერესით დაათვალიერეს 51-ე სკოლის მოსწავლეების, ნიჭიერი მხატვრების – **ანუკი ბუჯიაშვილის**, **ლუკა პატარქალაშვილისა** და **დეა ნადიბაიძის** ნამუშევრების გამოფენა.

სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამა: „სოციალური ურთიერთობებისა და სამოქალაქო განათლების ფორუმი“,

როგორც სკოლის განვითარების კონცეფცია, გრძელდება!

სკოლა მადლობას უხდის ფორუმის ყველა მონაწილეს, პატივცემულ სტუმრებს, პარტნიორ ორგანიზაციებს მხარდაჭერისთვის და მზად არის ახალი პროექტების განხორციელებისთვის, საქმიანი, კულტურული ურთიერთობებისთვის, სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისთვის.

იმედი გვაქვს, რომ სკოლაში განხორციელებული პროექტები ხელს შეუწყობს არსებული გამოწვევების დაძლევას და ჩვენი შვილების, მომავალი თაობის ღირებულებითი სფეროს ფორმირებას.

ნინო ალექსიძე
№51 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ

სასწაულების სამეფო
სცენარი ბიოლოგიის გაკვეთილისთვის

საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ ინტერესმა ბოლო წლებში იკლო, განსაკუთრებით მაღალ კლასებში. ვფიქრობ, ისე უნდა წარვმართოთ სასწავლო პროცესი, რომ სწავლა-სწავლება სახალისო და საინტერესო გახდეს. ვასწავლოთ მოსწავლეს, როგორ უნდა ისწავლოს და ის თავად გახდება შემოქმედი.

წარმოგიდგენთ სცენარს გაკვეთილისთვის „სასწაულების სამეფო“, რომელიც წარმოადგენს შემაჯამებელ გაკვეთილს, გამოყენებულია მეთოდი – როლური თამაში. სცენარი მეათე კლასის მოსწავლეებმა დაწერეს ბიოლოგიის გაკვეთილებზე. როცა ვსაუბრობდი ლეიკოციტებზე, როგორც ჩვენი ორგანიზმის მცველებზე და ისინი ჯარისკაცებს შევადარე, რომლებიც ჩვენ გამო წირავენ თავს, ერთ-ერთმა მოსწავლემ გამოთქვა მოსაზრება სცენარის დაწერის შესახებ, რასაც მხარი აუბა მთელმა კლასმა. იდეის ავტორთან ერთად, მოსწავლეებმა სცენარზე ხალისით დაიწყეს მუშაობა. მათ წარმოგვიდგინეს XIX საუკუნის სამეფო კარი, სადაც სამეფო ადამიანის ორგანიზმია, მოქმედი გმირები კი – ადამიანის ორგანოები: **გული –** დედოფალი, **თავის ტვინი –** მეფე, **ჯირკვლები –** სასახლის ქალფები, **ნეირონები –** მეფის მალემსრბოლელები, **ღვიძლი –** მთავარი ვეზირი, **ნაწლავები –** ლაბირინთი, **კუჭი –** უძირო ქვევრი, **ერითროციტები –** ეტლი, **ლეიკოციტები –**ჯარისკაცები, **სისხლი –** უკვდავების წყარო, **თრომბოციტები –** უკვდავების წყაროს მცველები, **ლიმფოციტი –** ქილერები, **ჩონჩხი და კუნთები –** ციხესიმაგრე, **კანი –** გალავანი, **ელენთა** – მეჭურჭლეთუხუცესი, **ფილტვი –** სასახლის კარიბჭე, **ცხვირი, თვალი, ყური, ენა –** მოამბეები (შიკრიკები), **ხერხემალი –** საყრდენი, **თირკმელები –** სასახლის დასტაქარი, **შარდის ბუშტი –** დიასახლისი, **სისხლძარღვები –** მთის და ბარის ბილიკები, **მიკრობები –** მტერი.

გთავაზობთ მცირე ამონარიდს სცენარიდან:

*„**მთხრობელი:** კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს სამეფოში მეგობრებო!*

დედოფალი მობრძანდება! ფუსფუსა, მშრომელი, ძლიერი, სიყვარულის და სილამაზის სიმბოლო, ასეთია ჩვენი დედოფალი. არ მივცემთ უფლებას გაბოროტდეს და ჰიპერტენზიამ შეაწუხოს. მხოლოდ ოთხი პატარა ოთახი უჭირავს უზარმაზარ სამეფოში, მოკრძალებულია და მეტს არ ითხოვს. ბრძანებების გაცემას მარჯვენა წინაგულიდან იწყებს, მარჯვენა პარკუჭს და მწვერვალს გადასცემს, იკუმშება და უშურველად გასცემს უკვდავების წყაროს სამეფოში. მისი დახმარებით მოგზაურობს სიცოცხლის წყარო მთის და ბარის ფართო და მიუვალ ბილიკებზე, ყველგან მიაქვს ხალისი და ენერგია.

***დედოფალი:** მე გული ვარ, სათუთი, ძლიერიც, სიყვარულით სავსე... თუ არ მოვუარე ჩემს განივზოლიან კუნთს, თუ არ გამოვკვებე კორონალური სისხლძარღვებით, ვერ ვიშრომებ. ცხოვრების ნახევარს შრომაში ვატარებ, ნახევარს კი ვისვენებ. უფრო მეტს ვიშრომებდი, მაგრამ დასვენებაც მჭირდება, რადგან სამეფოს უფრო მეტი წლები უნდა ვემსახურო.*

***სისხლი:** მე წყარო ვარ, სანამ ჩემი შედგენილობა უნიკალურია, უკვდავებით ვაჯილდოებ სამეფოს. ხშირად მამოწმებენ, ანალიზს მიკეთებენ, ჩემი შედგენილობა არ შეიცვალოს, მე ვარ სამეფოს უსაფრთხოების და იმუნიტეტის გარანტი.“*

სცენარში კარგად ჩანს თითოეული ორგანოს – ადამიანის ცალკეული ნაწილების როლი ორგანიზმის მთლიანობისთვის. მოსწავლეებმა სცენარი წარმოადგინეს სპეციალური კოსტიუმებით, გაამხატვრულეს, გაალამაზეს ქართული ცეკვებით და სიმღერებით.

გაკვეთილმა მიზანს მიაღწია, მოსწავლეებმა კიდევ უფრო კარგად შეისწავლეს საკუთარი ანატომიური აგებულება ისე, რომ ეს პროცესი მოსაწყენი და დამღლელი არ ყოფილა. მათი თვითშეფასებიდან გამოიკვეთა, რომ დაინახეს ბიოლოგია და ხელოვნება ერთად, საოცარი შედარებებით, ასევე, ბიოლოგია ქართულ ენა-ლიტერატურასთან კავშირში. ურთულესი მეცნიერება მარტივი თვალით დაინახეს, ორგანიზმი აღიქვეს, როგორც სამეფო, სადაც სასწაულები ხდება.

მანანა ლემსაძე
ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის №2 საჯარო სკოლის ბიოლოგიის წამყვანი მასწავლებელი

ՍԱՄՈԴԵԼՈՎ ԳԱԿՅԵՏՈՒԼԻ

Իմ ազատ ժամանակը

ԳՈՏԱՅԱԶՈՎԳՈՏ ԱՍՊՈՆԺԻՆ ՍՈՖԵԼ ԴԱՄԱԼԻՆ
ՍԱՖԱՐՈ ՍԿՈԼԻՆ ԳԵՐՄԱՆԵՐԵՆ ԼԵԶՎԻ
ՈՒՍՈՒՑԻՉԻՆ,
ՆԵԼԻ ԴՈՒԴՈՒԿՅԱՆԻՆ ՄԻՈՐ
ՄԵ-5 ԴԱՍԱՐԱՆՈՒՄ ՀԱՏԱՐԵԳՈՒԼԻ ԳԱԿՅԵՏՈՒԼԻՆ

ԴԱՍԱՊԼԱՆ

Ուսուցիչ	Նելի Դուդուկյան
Առարկա	Գերմաներեն
Ամսաթիվ	30.01.2020
Դասի թեման	«Նախասիրություններ»
Դասի տևողությունը	45ր.
Նպատակային խումբ	V դասարան
Աշակերտների քանակը	13 ՀԿԿՈՒԱ-2
Դասի նպատակը	**Աշակերտը պետք է կարողանա.** հարստացնել բառապաշարը, ասել, կազմել և գրել պարզ նախադասություններ նախասիրությունների մասին, ճիշտ օգտագործել ժամանակային արտահայտությունները
Սպասվելիք արդյունքները	**Դասի ավարտին աշակերտը կկարողանա** 1. թվարկել մի քանի տեսակի նախասիրություն՝ հիմնվելով նախնական գիտելքների վրա և օգտագործել նոր բառապաշարը **(fernsehen, Filme sehen, joggen, kochen, basteln, Roller fahren, faulenzen, schwimmen gehen, Briefmarken sammelm)** 2. օգտագործել ժամանակային արտահայտությունները և գրել ու ասել, թե երբ է զբաղվում իր սիրած նախասիրություններով **(am Wochenende, in den Ferien, am Nachmittag, um 9 Uhr, am Sonntagmorgen, heute)** 3. հարցեր կազմել և պատասխանել դրանց

Կիրառվող ուսումնական պաշարները	Գերմաներենի դասագիրք և աշխատանքային տետր (Genial A1, 2014թ.), համակարգիչ, պրոյեկտոր, PPշնորհանդես, գնահատման խորագիր, ցուցապաստառ, մարկեր, կպչուն թերթիկներ, գրատախտակ, կավիճ, տետր, գրիչ, զունավոր մատիտներ
Ազգային ուսումնական ծրագրի ստանդարտներ	**Ստ.տարբ.(II)3.** Աշակերտը պետք է կարողանա ստանդարտին համապատասխան թեմայի շուրջ հասկանալի լեզվով հաղորդակցվել և մի քանի նախադասությամբ մենախոսել: **Աշակերտը.** ➢ ծանոթ թեմայի վերաբերյալ հարց է առաջադրում և պատասխանում դրանց ➢ համապատասխանորեն է արձագանքում զրուցակցի հարցերին և արտահայտություններին; **Ստ.տարբ.(II)8**. Աշակերտը պետք է կարողանա գրավոր խոսքի ռազմավարությունները կիրառել նպատակին համապատասխան: **Աշակերտը.** ➢ Կռահում է անծանոթ բառերի և արտահայտությունների նշանակությունը իրեն ծանոթ տարրերի հիման վրա (ինչպիսիք են նկարները, բառի ծանոթ արմատը, կոնտեքստը և մայրենի լեզվում օգտագործվող համանուն բառերը. օրինակ՝ տաքսի, բանան, պրոյեկտոր) ➢ Գրում է սևագիր տարբերակը, հիմնվելով ուսումնական պաշարի վրա՝ ստուգում է գրածը և սխալները, այնուհետև մաքրագրում այն
Նախնական գիտելիքները, հմտություններն ու կարողությունները	Աշակարտները գիտեն և կարողա նում են խոնարհել թեմային համապատասխան բայեր (խաղալ, գրել, կարդալ, վարել, գնալ, լսել)և համապատասխան գոյականներ (օրինակ՝ ֆուտբոլ հեծանիվ, շախմատ, դոմինո, գնդակ և այլն), կարողանում են տվյալ բայերով կազմել պարզ նախադասություններ իրենց նախասիրությունների վերաբերյալ:
Գնահատման խորագիր, Զարգացնող գնահատական	• Աշակերտը թվարկում է իր նախասիրությունները0-1-2 • Աշակերտը կարողանում է հարցեր կազմել և պատասխանել դրանց0-1-2 • Աշակերտը կարողանում է ասել, թե օրվա որ հատվածում ինչով է զբաղվում0-1-2 • Աշակերտը կարողանում է սովորածը ճիշտ կիրառել գրավոր խոսքի մեջ0-1-2 • Աշակերտը կարողանում է ընդհանրացնել սովորածը, հաղորդակցվել ընկերների հետ և մենախոսել0-1-2

№	Ակտիվության նկարագրություն	Օգտագործվող մեթոդ/ մեթոդներ	Դասի կազմակերպման ձև/ձևեր	Ուսումնական պաշարներ	Ժամանակ (ր.)
1.	• Կազմակերպչական մաս. ողջույն • Ուսուցիչը ծանոթացնում է դասարանին դասի թեմայի և նպատակի հետ, գնահատման խորագրին. «Իմ ազատ ժամանակը. նախասիրություններ» - հարստացնել բառապաշարը, ասել, կազմել և գրել պարզ նախադասություններ նախասիրությունների մասին, ճիշտ օգտագործել ժամանակային արտահայտությունները (դասի թեման, նպատակը և գնահատման խորագիրը փակցված են դասարանում աշակերտների համար տեսանելի տեղում):	Բանավոր, շնորհանդես	Ուսուցիչ, դասարան	Համակարգիչ, պրոյեկտոր, PPշնորհանդես, պաստառ, մարկեր	2ր.
2.	Նախավարժանք. աշակերտների մոտիվացիան բարձրացնելու համար ուսուցիչը ցուցադրում է նախապես պատրաստված PPշնորհանդեսում զետեղված նախասիրությունների վերաբերյալ նկարները և հարցնում աշակերտներին թե որ գործողություններն են ճանաչում գերմաներեն լեզվով և որոնք են նախընտրում: Այնուհետև ուսուցիչը ցուցադրում է նոր բառեր և արտահայտություններ կապված նախասիրությունների հետ **(fernsehen, Filme sehen, joggen, kochen, basteln, Roller fahren, faulenzen, schwimmen gehen, Briefmarken sammelm)**: ՀԿԿՈՒԱ – **սովորում են schwimmen gehen, Roller fahren** արտահայտությունները, ստանում են տվյալ գործողություններով նկարներ և զունավորում են դրանք:	Հարց-պատասխան	Ուսուցիչ դասարան	Համակարգիչ, պրոյեկտոր, PPշնորհանդես, գրատախտակ, կավիճ	4ր.
3.	Ուսուցիչը աշակերտների ուշադրությունը հրավիրում դասագրքին (էջ 48 վարժ. 1,2) և հարցնում է, թե որ ակտիվությունն է նրանց դուր գալիս և որն են կարողանում կատարել **(Was findest du gut? Was kannst du gut?)**: Աշակերտներին տրվում է1ր. ժամանակ մտածելու համար և 3 ր. պատասխանելու համար: ՀԿԿՈՒԱ - կազմում են նախադասություններ տվյալ արտահայտություններով **(Schwimmen gehen finde ich gut. Ich kann gut Roller fahren.)**:	Բանավոր հարցում	Անհատական աշխատանք	Դասագիրք, տետր, գրիչ	4ր.
4.	Ուսուցիչը խմբերին բաժանում է նախապես պատրաստված կպչուն թերթիկներ՝ առանձին բայերով և գոյականներով և ժամանակ է տալիս, որ կազմեն համապատասխան բառակապակցություններ **(Music hören, Fußball spielen, Gitarre spielen, ein Buch lesen, einen Brief schreiben)** Այնուհետև խմբերը ամրացնում են իրենց ստացած արտահայտությունները ցուցապաստառին և ներկայացնում դրանք: ՀԿԿՈՒԱ մասնակցում են տվյալ ակտիվությանը:	Շնորհանդես	Խմբակային աշխատանք	Կպչուն թերթիկներ, ցուցապաստառ	5ր.
5.	Ուսուցիչը PPշնորհանդեսի միջոցով ներկայացնում է աշակերտներին ժամանակային արտահայտություններ **(am Wochenende, in den Ferien, am Nachmittag, um 9 Uhr, am Sonntagmorgen, heute)** և հանձնարարում գրել և այնուհետև ասել անհատական կազմված նախադասությունները նախասիրությունների վերաբերյալ՝ օգտվելով դասագրքից (էջ 49 վարժ. 5), տրված նոր նյութից և իհարկե օգտագործել նախնական գիտելիքները: ՀԿԿՈՒԱ - ստանում են 1 խառը նախադասություն, դասավորում այն և սովորում կարդալ (Ich, am Wochenende, Fußball, spiele):	Շնորհանդես, գրավոր, բանավոր	Ուսուցիչ, դասարան	PPշնորհանդես, դասագիրք, տետր, գրիչ	8ր.
6.	Ուսուցիչը հանձնարարում է խմբերին կազմել հարցեր և պատասխանել դրանց՝ օգտվելով դասագրքից (էջ 50 վարժ. 7,8,9) և ներկայացնել դրանք որպես մշակված երկխոսություններ՝ շնորհանդեսի տեսքով: ՀԿԿՈՒԱ –ստանում են երկխոսություն 4 նախադասությամբ, սովորում այն միասին վարժ կարդալ և կատարում շնորհանդես:	Շնորհանդես	Դասարան	Դասագիրք, տետր, գրիչ, ցուցապաստառ	15ր.
7.	Ուսուցիչը կատարում է գնահատում՝ ըստ գնահատման խորագրի և տալիս է նաև զարգացնող գնահատական:	Բանավոր	Ուսուցիչ	Գնահատման խորագիր	5ր.
8.	Ուսուցիչը տալիս է տնային հանձնարարություն աշխատանքային տետրից և մանրամասն բացատրում այն (Էջ 47 վարժ. 2,3,4): ՀԿԿՈՒԱ տանը ամրապնդել դասարանում սովորած նոր արտահայտությունները և վարժ կարդալ տրված երկխոսությունը:	Բանավոր	Ուսուցիչ	Գրատախտակ, կավիճ	2ր.

ინფორმაცია

დეპრესია ბავშვებში – ცივილიზაციის დაავადება

დეპრესია ბავშვებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებო საკითხია. „დეპრესია“ ლათინური სიტყვაა და ქართულად დათრგუნულს ნიშნავს. როდესაც ადამიანი რაღაც სულიერ ან ფიზიკურ ტრავმას გადაიტანს, ამას შედეგად მოსდევს დეპრესია. შეიძლება მუდმივი სტრესისა და დაძაბულობის შედეგიც იყოს, და მაინც, მარტივად რომ ავხსნათ, რა არის დეპრესია? ზოგს უბრალოდ უხასიათობა ჰგონია და ახლობელს, რომელიც სიცოცხლეში მონაწილეობის ძალას კარგავს, ადექი, ნუ ზარმაცობ, თავი ხელში აიყვანეო, ეუბნება. დეპრესია ცივილიზაციის დაავადებაა. ვინაიდან ადამიანს გაზრდილი მოთხოვნილებები აქვს და მათ დაკმაყოფილებას ვერ ახერხებს, ეს იწვევს დეპრესიას. დეპრესია არა მარტო ზრდასრულ ადამიანებს, არამედ ბავშვებსაც შეიძლება ჰქონდეთ. თუმცა ამ შემთხვევას უფროსები ხშირად „უზრდელობას“, „სისულელეს“ ან „გამოხტომებს“ უწოდებენ. მშობლები იმასაც ამბობენ, რომ მათი შვილები არც თუ ისე იშვიათად „გაბუტულის როლს ირგებენ“. საქმე ის არის, რომ ბავშვებისა და ზრდასრულების დეპრესიის სიმპტომები ერთმანეთისგან განსხვავდება. სწორედ ამიტომ, თუ უფროსი ასაკის ადამიანების დეპრესიის დიაგნოსტირება მეტ-ნაკლებად არაპროფილირებულ სპეციალისტებს ან ახლობლებსაც კი შეუძლიათ, ბავშვების შემთხვევაში ეს გაცილებით რთული პროცესია.

რატომ ემართებათ ბავშვებს დეპრესია?

ბავშვებში დეპრესიის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მაპროვოცირებელი ფაქტორია **ძალადობა**. ეს შეიძლება იყოს სკოლაში ჩაგვრა ან სხვა ჯგუფური თუ ოჯახური ძალადობა. ოჯახურ ძალადობაში იგულისხმება არა მარტო ფიზიკური ზეწოლა, არამედ დამცირება, დაცინვა, ემოციის გამოხატვის აკრძალვა და სხვ. ეს არის ფსიქოლოგიური და ემოციური ძალადობის ფორმები, რომლებიც ბავშვის ფსიქიკაზე გამოუსწორებელ გავლენას ახდენს. თუმცა, არსებობს ძალადობის სხვა ფორმებიც. ოჯახში, სადაც ძალაუფლების დისბალანსია, ბავშვი ამ სიტუაციის ტყვეობაში ექცევა. ძალადობის მოწმეს, შიშისა და განგაშის შეგრძნების პარალელურად, ეუფლება შეგრძნებები, რომლებსაც არაპირდაპირი მსხვერპლი განიცდის. უფრო მეტიც, ძალიან ხშირად ოჯახში მიმდინარე მოვლენებში ბავშვი საკუთარ თავს მიიჩნევს დამნაშავედ და ეს მის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს.

ტექნოლოგიების მიღწევებმა – კომპიუტერიზაციამ და ინტერნეტმა გააერთიანა და, ამასთან, საკმაოდ შეავიწროვა მთელი სამყარო; ბევრისთვის ის კომპიუტერის მონიტორთან მთავრდება, რაც ძალიან ცუდად აისახება ურთიერთობის უნარსა და ემოციურ თავისებურებებზე. დეპრესია, ასევე, შეიძლება განვითარდეს მძიმე ავადმყოფობის ან ახლობელი ადამიანების გარდაცვალების შედეგად გამოწვეული ქრონიკული ან მწვავე სტრესების ზემოქმედებით. ასევე, შეიძლება აღმოცენდეს სრული სოციალური და ფიზიკური კეთილდღეობის ფონზეც, რასაც თავის ტვინში ბიოქიმიური პროცესების მიმდინარეობის დარღვევას უკავშირებენ; დეპრესიის განვითარების მიზეზი შეიძლება გახდეს, ასევე, იდეალებისა და ილუზიების მსხვრევა, უძლურების და უსუსურობის გრძნობა სირთულეებთან შეხვედრისას, ფსიქიკური ტრავმა, გადაღლა, კვების რეჟიმის დარღვევა.

ბავშვებში დეპრესიის სიმპტომები:

- **მოძრაობების დაქვეითება**, რაც გამოიხატება მოძრაობის სურვილის უქონლობით. ასეთი ბავშვები ან მუდმივად ერთ პოზაში სხედან, ან წვანან. ფიზიკური მოქმედება არანაირ ინტერესს არ იწვევს მათში.
- **გუნება-განწყობის და ხასიათის შეცვლა**. დღის განმავლობაში გუნება-განწყობის დაქვეითება არათანაბარზომიერად მიმდინარეობს – დილის საათებში ბავშვი მხიარული, ხალისიანია, საკმაოდ სიამოვნებით მიდის სკოლაში. შემდეგ განწყობა თანდათან ქვეითდება და საღამოსთვის უკვე პიკს აღწევს. ბავშვს არაფერი ახარებს, არაფერი აინტერესებს, აწუხებს თავის ტკივილი, ხანდახან სხეულის ტემპერატურაც მატულობს. უჩივის მუდმივ პრობლემებს სკოლაში, კონფლიქტებს მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან. კარგშიც კი უარყოფითს ხედავს.
- **შენელებული აზროვნება.** მისი დაქვეითება შეიძლება, ასევე, დეპრესიაზე მიუთითებდეს. ასეთ დროს ბავშვს პრობლემები ექმნება დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემისას; ხშირად პასუხობს მხოლოდ თავის ერთი დაქნევით ან საუბრობს ჩუმად, წყნარად. შეიმჩნევა ერთ, უარყოფითი ელფერით შეფერადებულ აზრზე „ჩაციკვლა“: „მე ყველაფერი ცუდად მაქვს“ ან „მე არავის ვუყვარვარ“; აწუხებს უძილობა, ცოტა სძინავს. ერთ აზრზე „ჩაციკვლა“ ჩაძინების პროცესს უშლის ხელს. ძილი შფოთიანი აქვს, ზედაპირული და საშუალებას არ აძლევს ორგანიზმს, სრულყოფილად დაისვენოს; დეპრესიულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვს ეკარგება მადა, უარს ამბობს საკვებზე, ხანდახან რამდენიმე დღე არაფერს ჭამს; მოზარდებში ჩნდება თვითმკვლელობასთან დაკავშირებული აზრები, ამზადებენ მოქმედების გეგმას, ქმნიან ამ გეგმის სხვადასხვა ვარიანტს. დეპრესიის დროს ქვეითდება ბავშვის სოციალური აქტივობა, იკარგება ინტერესი მეგობრებისადმი, თამაშისადმი, სწავლისა და ადრინდელი გატაცებებისადმი; ბავშვი ხდება გულგრილი ყველას და ყველაფრის მიმართ, უჩნდება სიცარიელის, დათრგუნულობის, სევდის, მოწყენილობის გრძნობა.
- საკუთარ თავში დაურწმუნებლობა, უსუსურობა, უიმედობა, შინაგანი დაძაბულობა, **სასოწარკვეთა** დეპრესიის მნიშვნელოვანი სიმპტომები შეიძლება იყოს. ძალიან ხშირად დეპრესია ვითარდება არამყარი და დაქვეითებული თვითშეფასების მქონე ბავშვებში. თავის მხრივ, დაბალი თვითშეფასების საფუძველს წარმოადგენს მიმღებლობის და ემოციური გაგების დეფიციტი დედის მხრიდან. გარდა ამისა, დეპრესიის სიმპტომები ბავშვის ასაკსა და მისი განვითარების დონეზეა დამოკიდებული. მაგალითად, დეპრესიის მქონე 5 წლის ბავშვი და 15 წლის მოზარდი, როგორც წესი, აბსოლუტურად განსხვავებულად იქცევიან. ასევე, მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ მცირეწლოვანი ბავშვი თავის გრძნობებსა თუ ემოციებს ზუსტად ვერ აღწერს და არც დაწყებითი კლასის ყველა მოსწავლეს აქვს უნარი, თავისი განწყობის შესახებ სწორად ილაპარაკოს. რაც უფრო პატარაა ბავშვი, ტრადიციული გაგებით, ის ნაკლებ „დეპრესიული“ იქნება გარეგნულად. სწორედ ამიტომ ძალიან მარტივია საბავშვო დეპრესია და სხვა სახის ქცევითი დარღვევა ერთმანეთში აგერიოთ (მაგალითად, ყურადღების დეფიციტის სინდრომი). ბავშვის დეპრესიული მდგომარეობის ძალიან მნიშვნელოვანი და მძიმე გამოხატულებაა სუიციდური აზრები, ამის შესახებ ხმამაღალი განცხადებები და თვითდაზიანება. ეს სიმპტომები 12 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაშიც გვხვდება, ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვის ნებისმიერი სუიციდური გამოთქმა დიდ ყურადღებას მოითხოვს, მაშინაც კი, როდესაც მსგავსი ქცევა თქვენ, როგორც მშობელს, „მანიპულატორულად“ გეჩვენებათ. „უმჯობესია, საერთოდ არ ვიყო!“, „ნეტავ ყველაფერი დასრულდეს!“, „ამ ყველაფერს დიდი სიამოვნებით დავასრულებდი!“ – ეს ის ფრაზებია, რომლებიც მშობელმა უყურადღებოდ არ უნდა დატოვოს. სუიციდური ქცევა დეპრესიასთან რომ მჭიდროდ არის დაკავშირებული, ამაზე დღეს უკვე არავინ დავობს.
- **ბავშვი გაღიზიანებულია**, თქვენ მას შეამჩნიეთ აგრესიული ქცევა, უმნიშვნელო მიზეზის გამო ტირის ან გულგატეხილია;
- შეწყვიტა იმ წრეზე სიარული, რომელიც ძალიან უყვარდა ან აღარ ხვდება იმ მეგობრებს, რომლებთანაც ადრე დროს სიამოვნებით ატარებდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **ძველი ინტერესები დაკარგა**;
- ბავშვს **გაუჩნდა ფიზიკური სიმპტომები**: მუცლის ტკივილი, გულისრევა, თავის ტკივილი, გადაღლილობა;
- **ძილთან დაკავშირებით პრობლემები** დაეწყო: გვიან იძინებს, ღამე ხშირად ეღვიძება ან დილით წუწუნებს, რომ ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს საერთოდ არ უძინია;
- **მადა დაკარგა ან პირიქით**, უზომოდ ბევრს ჭამს;
- **დაკარგა კონცენტრაციის უნარი**;
- ბავშვი **ცოტას მოძრაობს ან პირიქით**, ჰიპერაქტიური გახდა;
- მას **გაუჩნდა დანაშაულის შეგრძნება**, ფიქრობს, რომ „რაღაც ცუდი მოხდება“, დარდობს, რომ არავის უყვარს ან საკუთარი თავისადმი სიძულვილს განიცდის;
- ბავშვს შეამჩნიეთ **აგრესია, ისტერიკა, ფორიაქი მშობლებთან განშორებისას** (ყველაზე ხშირად დედასთან);
- **ბავშვმა სწავლა შეწყვიტა.**

მაშ ასე, დეპრესიით დაავადებული ბავშვები ხასიათდებიან ენერგიისა და მოტივაციის ნაკლებობით, უჭირთ ყურადღების კონცენტრაცია, სულ უკან დახევა სურთ და ვერ იღებენ სიამოვნებას ყოველდღიური საქმიანობიდან, რაც, როგორც წესი, სასიამოვნო და სახალისოა. სკოლაში თავის წარმოჩენა არ შეუძლიათ და დაბალი აკადემიური მოსწრება აქვთ. ხშირად არიან გაღიზიანებულები, პირქუშები და ხან აგრესიულებიც. იმ ასაკში, როცა უკვე მეტყველების უნარი სრულად არის ჩამოყალიბებული, საკუთარ თავს მოიხსენიებენ, როგორც მახინჯს, სულელს, უღირსს, უსიყვარულოს. მათი გონება ნაადრევად არის დაკავებული სიკვდილზე ფიქრით და არსებობს სუიციდის მცდელობის ალბათობაც, თვითდაზიანებისა და ტკივილის მიყენებისკენ მიმართული ქცევა შესაძლოა მცირე ასაკის ბავშვებსაც ჰქონდეთ იმის მიუხედავად, რომ მათი გაგება სიკვდილისა განსხვავდება ზრდასრული ადამიანის განცდისაგან, ამ თემასთან დაკავშირებით. დადგენილია, რომ სიყმაწვილის ასაკში გოგონებში ორჯერ უფრო ხშირად აღინიშნება დეპრესია, ვიდრე ბიჭებში, მაგრამ 12 წლამდე პერიოდში ორივე სქესს ერთნაირი მაჩვენებელი აქვთ. უგუნებობა და სევდიანი განწყობა ყველა მოზარდის ცხოვრებაში ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ, თუ ეს მდგომარეობა დიდხანს გრძელდება, თინეიჯერი სიცარიელეს გრძნობს და ამქვეყნად ყველაზე ძვირფასის – ცხოვრების სურვილი უქრება, რაც სერიოზული პრობლემაა. ხშირად მშობლებს დრო არ აქვთ ან უბრალოდ ვერ აცნობიერებენ პრობლემის არსს და შვილის ასეთ მდგომარეობას სერიოზულად არ უყურებენ. თუმცა, პრობლემა მწვავეა და შეუძლია თქვენი შვილის მომავალი მთლიანად შეცვალოს. თუ ბავშვი ავლენს ზემოთ ჩამოთვლლ ნიშნებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დეპრესიასთან გვაქვს საქმე, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ეს სიმპტომები მძაფრ ხასიათს ატარებს და თვეების განმავლობაში გრძელდება, აუცილებლად უნდა მივმართოთ სპეციალისტს.

დაბოლოს, გახსოვდეთ, ბავშური დეპრესიის პროფილაქტიკაში მთავარი სიყვარულია.

ერმალო ლანჩავა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგია-ფილოსოფიის დეპატრამენტის მოწვეული სპეციალისტი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლილი ხეჩუაშვილი – „დიდი დეპრესიული აშლილობა“. ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში http://dictionary.css.ge/content/major-depressive-disorder;

2. გერიგი რ. და ზიმბარდო ფ. (2009). ფსიქოლოგია და ცხოვრება, თბილისი, თსუ.

APA, (2013). DSM-5TM, Diagnostic and Statistical Manual of Mental Disorders, 5th edition. Americal Psychiatric Assosiation, Washington, DC; London, England;

3. Barlow D., H., and Durand V. M. (2014). Abnormal Psychology: An Integrative Approach, 7th ed. Cengage Learning;

4. ადრეული ასაკის ბავშვის ზრდისა და განვითარების მონიტორინგი და მშობლის კონსულტირება. ავტორები: მედიცინის დოქტორი ეკა კანდელაკი, მედიცინის დოქტორი ნანი ყავლაშვილი, მედიცინის დოქტორი მაია ხერხეულიძე https://www.unicef.org/georgia/media/2391/file/zrdisa_da_ganvitarebis_monitoringi.pdf;

6. პროგრამა – მშვიდობით, დეპრესიავ! ნევროზო!, აღიდგინე სასიცოცხლო ენერგია. http://inga-bless.tilda.ws/nevrozi-depresia;

7. დეპრესია მოზარდებში (ქართულ-ამერიკული კლინიკა) http://medicalhouse.ge/blog/depresia-mozardebshi.

სპორტი

ყინულის მოედანზე მოგებული ბრძოლა

საბედნიეროდ, ბოლო პერიოდში, უკვე რამდენჯერმე მოგვიწია იმის აღნიშვნა, რომ საქართველოში სპორტის ზამთრის სახეობები აღმავლობას განიცდის და ჩვენები, ასაკობრივ დონეზე, უკვე მარაქაში გარევასაც ახერხებენ. თანაც, „უძრაობის“ შემდეგ, ამ მიმართულებით, გარღვევა თითქმის ყველა სახეობაში შეინიშნება – სათხილამურო სახეობებშიც და საციგურაოშიც. ჯერჯერობით, განვითარების ტემპებით, ჰოკეი და სათამაშო სახეობები შედარებით ჩამორჩებიან, თუმცა, ვინ იცის, ახლო მომავალში რა იქნება...

ამასობაში კი, ქართველმა ფიგურულად მოციგურავეებმა მორიგი ისტორიული წარმატება მოიპოვეს. იანვრის ბოლოს, ავსტრიის ქალაქ გრაცში, ჩატარდა 113-ე ჩემპიონატი სპორტის ამ სახეობაში, რომელშიც ევროპის 32 ქვეყნის 164 სპორტსმენი მონაწილეობდა. მათ შორის 5 ქართველიც იყო 3 დისციპლინაში: ქალთა და ვაჟთა ერთეულთა პირველობაში **მორის ყვითელაშვილი**, **ირაკლი მაისურაძე** და **ალინა ურუშაძე** გამოდიოდნენ, ხოლო სპორტულ ცეკვებში – **მარია კაზაკოვა** და **გიორგი რევია**. ამათგან ყველაზე უკეთ მორის ყვითელაშვილმა იასპარეზა, ორი ბრინჯაოთი დაასრულა გამოსვლა. პირველი იყო თავისუფალ პროგრამაში მოპოვებული მცირე ბრინჯაო, რამაც საბოლოო ჩათვლაშიც ამავე სინჯის მედალი მოუტანა. ეს ევროპის ჩემპიონატზე ვაჟებში მოპოვებული პირველი მედალია, ქალებში კი უკვე გვაქვს ანალოგიური სინჯის მედალი – 2012 წელს **ელენე გედევანიშვილი** კონტინენტის მესამე პრიზიორი გახდა.

ყვითელაშვილმა, მოკლე პროგრამაში, კარგად ისარგებლა მეტოქეთა მიერ დაშვებული შეცდომებით – ბევრი აღიარებული ფავორიტი მიყოლებით ენარცხებოდა ყინულს, თუმცა სასტარტო მღელვარება მასაც ეტყობოდა – ბოლო ნახტომზე, ოთხმაგი ტულუპის შესრულებისას, თვითონაც დაეცა, მაგრამ 82,77 ქულით მეოთხე ადგილზე მაინც გავიდა და თავისუფალ პროგრამაში გამოსვლის უფლება მიიღო, იქ კი ბევრად უფრო დახვეწილად და თავისუფლად ისრიალა, რამაც მესამე ადგილი მოუპოვა. ორჭიდში 246.71 ქულა დააგროვა, რაც, ასევე, მესამე ჯამური შედეგი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ამ დისციპლინაში ევროპის ჩემპიონატის მედლები ამიერკავკასიელებმა მოიპოვეს, თუმცა ოქრო-ვერცხლის მფლობელები, შესაბამისად, **დიმიტრი ალიევი** და **არტურ დანიელიანი** რუსეთის ფედერაციას წარმოადგენდნენ. არადა, რომ არა ის დასანანი შეცდომა, მოკლე პროგრამის ბოლოს, ყვითელაშვილს ვერცხლის მედლის მოპოვებაც თავისუფლად შეეძლო, რადგან ორჭიდში სულ რაღაც 0.03 ქულით ჩამორჩა დანიელიანს.

თავისუფალ პროგრამაში გამოსვლის უფლება მოიპოვა მაისურაძემაც, თუმცა, საბოლოოდ, უმედლოდ დარჩა. რაც შეეხებათ ჩვენს დანარჩენ მონაწილეებს, ალინა ურუშაძე პირველად გამოვიდა უფროსებში და, 37 მოციგურავეს შორის, არცთუ ურიგო – მე-15 ადგილზე დაასრულა ასპარეზობა. ასევე მე-15 პოზიციაზე გავიდა კაზაკოვა-რევიას წყვილიც, 27 დუეტს შორის – ამ რანგის შეჯიბრებაზე უფროსებში მათაც დებიუტი ჰქონდათ. ამასთან, ვაჟებში, ყვითელაშვილისა და მაისურაძის ჯამური ქულებით, ევროპის საგაისო ჩემპიონატში ისევ 2 მონაწილის კვოტა „დავიბევეთ“.

„ყველას ჩვენი ბრძოლა გვაქვს მოსაგები. ჩვენ ეს ბრძოლა მოვიგეთ ყინულის მოედანზე და კვლავაც მოვიგებთ, მოვიგებთ ჩვენი საქართველოსთვის“ – განაცხადა ამ ისტორიული მედლის მოპოვების შემდეგ საქართველოს ფიგურული ციგურაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, **მარიამ გიორგობიანმა**.

დასასრულს, აღსანიშნავია, რომ ევროპის ჩემპიონატში მონაწილე 32 ქვეყნიდან მედალი მხოლოდ სამმა მოიპოვა – რუსეთმა, საფრანგეთმა და საქართველომ. შესაბამისად, გუნდურ ჩათვლაშიც მესამეზე გავედით, ამ ორი გუნდის შემდეგ. ჩვენმა ქვეყანამ, თავისი არცთუ გამართული ინფრასტრუქტურით და თითზე ჩამოსათვლელი სპორტსმენებით, შეძლო ის, რაც ვერ გააკეთა ბელარუსმა, უკრაინამ, ფინეთმა, იტალიამ და სხვა, ეკონომიკურად თუ ფიგურული ციგურაობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით, განვითარებულმა ქვეყანამ. ისიც წარმატებაა, რომ წარმომადგენელი სამსაჯო კორპუსშიც გვყავდა – **სალომე ჩიგოგიძე**, რომელმაც ვაჟთა ინდივიდუალური პროგრამა იმსაჯა, ამ კატეგორიაში კი, სულ, 13 ქვეყნის არბიტრი იყო მიწვეული.

დასასრულს გეტყვით, რომ ბოლო ორი თვის მანძილზე ჩვენმა მოციგურავეებმა, სხვადასხვა ასაკში, ისეთ პრესტიჟულ ტურნირებზე, როგორიც ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები, უფროსთა ევროპის ჩემპიონატი და „დიდი პრიზის“ ფინალეებია, უკვე მეოთხე მედალი მოიპოვეს – 2 ბრინჯაო და ამდენივე ოქრო. ჯერ იყო კაზაკოვა-რევიას ოქრო იტალიაში გამართული „დიდი პრიზის“ ფინალში, მერე კი **ალინა ბუტაევა-ლუკა ბერულავას** ოქრო და ბრინჯაო ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე, ახლა კი ყვითელაშვილის ეს ისტორიული ჯილდო.

ირაკლი თავაძე

წიგნის თარო

გამომცემლობა „ახალი განათლება“ გთავაზობთ

5 ლარი

12 ლარი

10 ლარი

9 ლარი



4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აბიორაფიული
პროზა ლიტერატურის
მასწავლელთათვის

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.

19 ლარი

19 ლარი

გავიმეოროთ მათემატიკა (I-II ნაწილი)

წიგნი I
V-XVIII სს
მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

ტესტები ქართულ ლიტერატურაში

ეროვნული გამოცდისათვის

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

პროფესიული უნარები
თეორიული მასალა



15 ლარი

პროფესიული უნარები
ტესტები

15 ლარი

ტექსტის გააზრება
ანალიტიკური წერა

15 ლარი

სიახლე

8 ლარი

პროფესიული უნარები
300 მნიშვნელოვანი
კითხვა-პასუხებით

კითხვა-პასუხის კონცეფციაზე აგებული გზამკვლევი დაეხმარება სტუდენტებს, დამწყებ მასწავლებლებს, პრაქტიკოს მასწავლებლებს, განსაკუთრებით გამოცდაზე გამსვლელ მასწავლებლებს მასალის გამეორებაში.

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ქართული (I-VI კლ.) მასწავლებელთა გამოცდებისთვის

11 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

7 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

კრებული სრულად ფარავს პროგრამას I-IV კლასების კომბინირებული გამოცდისთვის. მასში 1000-მდე ტესტური დავალებაა პასუხებით და მეთოდური რეკომენდაციებით.

15 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“,
ბ/კ LBRTGE22
შეკვეთის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 2 ლარი